სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 21 აპრილი 2004 №88 (2107) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრავო, მონაკო!

დიდიედემანის გუნდმა „ლუი მე-ორეზე“ „ჩელსისთან“ ისე ითამაშა, თვითლონდონელთა ყველაზე თავგადაკლული ქომაგის ტაშს და მოწონებასაც დაიმსახურებდა. ნუ დაივიწყებთ, რომ მეოთხედფინალში მადრიდის „რეალის“ სენსაციური დაჯაბვნის მიუხედავად, ამ ნახევარფინალურ წყვილში ფავორიტად მაინც „ჩელსი“ ითვლებოდა, რაშიც იყო და ჯერაც არის ძლიერი ლოგიკა და არგუმენტი, მაგრამ სამთავროელებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს მთელი ევროპის გასაგონად, რომ ფავორიტების რიდი არ აქვთ.





მონაკო – ჩელსი 3:1 მარცხნაჭამმა რომან აბრამოვიჩმა ფერნანდო მორიენტესს და დადო პრსოს ვინძლო, მუშტრის თვალით შეხედა



დინამო 1:0 დილა

გორელებმა თბილისიდან თასის ფინალის იმედი წაიღეს

ტორპედო—სპარტაკი: 2:0 ქირესის თვალწინ

არავითარი პათეტიკა: ეროვნული სტადიონის მოვლა-პატრონობა ეროვნული საქმეა!

საქართველოს ნაკრები შემოდგომიდან ქვეყნის უპირველეს სარბიელზე, ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს. ქალაქის საკრებულო იმის გაკეთებას აპირებს, რაც, სამწუხაროდ, ამდენი წელია, არავის უკეთებია:

ეროვნული გარემონტდება

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

1/2 ფინალი. პირველი მატჩი. გუშინ

მონაკო (საფრანგეთი) 3:1 **ჩელსი** (ლონდონი, ინგლისი)

1:0 პრსო (17), 1:1 კრესპო (22), 2:1 მორიენტესი (77), 3:1 ნონდა (84)

მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივუ, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი (პლასილი 89), ჟიული (ნონდა 83), პრსო (ე. სისე 57), მორიენტესი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

ჩელსი: ამბროზიო, მელხიოტი (პასელბაინკი 62), დესაი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (ჰათი 69), მაკელელე, ლამპარდი, გრონვიაერი (ვერონი 46), კრესპო, გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: მელხიოტი (16), იბარა (44), მაკელელე (53), ტერი (72)

გაძევება: ზიკოსი (53)

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

20 000 მაყურებელი

მონაკო დიდიე დეშანსი

წუხანდელ შეხვედრაში, ემოციური თვალსაზრისით, მონაკოელ ფრანგებს „ჩელსის“ ფრანგებმა გაუკეთეს დიდებული საქმე. გაიხსენეთ: ჯერ იყო და, მეორე ტაიმის დასაწყისში, მარსელ დესაიმ ფერნანდო მორიენტესს ყბაში თუ ცხვირში მსაჯისგან შეუმჩნევლად იდაყვი ჩაარტყა, ხოლო შემდეგ, ზიკოსთან ძიძგილაობისას მისგან კეფაში წამორტყმულმა კლოდ მაკელელემ ეპიზოდი ისე გააფორმა, მოედანზე ისე გაგორდა, რომ მსაჯმა, შვეიცარიელმა ურს მაიერმა მონაკოელი გააძევა. ამავე ძიძგილაობისთვის მაკელელემ ყვითელი ბარათი მიიღო.

კაცნაკლულად დარჩენილმა დიდიე დეშანმა ცვლილებებს მიმართა. ზიკოსის გაძევებიდან ოთხ წუთში, ამ შეხვედრის პირველი გოლის ავტორი, დადო პრსო გაიყვანა, ხოლო მის ნაცვლად სისე შეიყვანა, ხოლო ბოლოსკენ, 83-ე წუთზე, ჩინებულად მოთამაშე ლუდოვიკ ჟიული შაბანი ნონდათი შეცვალა.

გაძევების შემდეგ შექმნილი ტაქტიკური სურათიდან და ფეხბურთელების დაღლიდან გამომდინარე, დეშანის შეცვლები სწორი, გამართლებული გამოჩნდა, თუმცა სიტყვა გამართლება ერთხელაც რომ ვახსენოთ, უპრიანი იქნება: ნონდა მოედანზე წამების შესული იყო, როდესაც კიდევ ერთი ბრწყინვალე მონაკოელის, როტენის პასით, მისი ბურთთან პირველივე შეხება გოლი დასრულდა.

თუმცა ასეთი თხრობით გოლების ჩამონათვალი გამოვიდა არეულ-დარეული — მონაკოელთა მესამე და მატჩის ბოლო გოლი აღვწერეთ, წინა ეპიზოდებზე კი არაფერი გვითქვამს. ამიტომ თავიდან მოვყვეთ:

ანგარიში მე-17 წუთზე პრსომ გახსნა. როტენმა თავისი, მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ბურთი პრსოს თავთან თითქოს მოულოდნელად ეახლა, ხოლო მან ოსტატურად მიარტყა.

22-ე წუთზე „ჩელსიმ“ გაათანაბრა. ფრენკ ლამპარდის პასით გუდიონსენმა საჯარიმოში იტრიალა, ერთი შეხედვით იწვალა, მაგრამ ბოლოს მოხერხებულად გადასცა ერნან კრესპოს, რომელმაც მიზანში დაარტყა.

მეორე გოლი „მონაკომ“ უკვე ზიკოსის გაძევების შემდეგ, 78-ე წუთზე გაიტანა — მორიენტესს ჟიულიმ გაუწია ასისტენტობა, ხოლო ბოლოს, 83-ე წუთის ამბავი უკვე გითხარით.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში „ჩელსის“ თავკაცს, კლაუდიო რანიერის რამდენიმე დღის წინ „ევერტონის“ წინააღმდეგ გაყვანილ შემადგენლობასთან შედარებით ექვსი ფეხბურთელი ჰყავდა შეცვლილი, ხოლო „მონაკოს“ მწვრთნელმა იგივე გუნდი დასაქმა, რომელმაც „ლანსთან“ ითამაშა.

პაპუნა კედია

ფერნანდო მორიენტესის მარჯვედ მოქნეულ მარჯვენას გოლი მოჰყვა

ერროვნული სკამს დაიდგამს

საკრებულომ სტადიონი ევროპას ჩაბარებინა

ბალდრე ჯობავაძის ფოტო

საქართველოს ნაკრები შემოდგომიდან ქვეყნის უპირველეს სარბიელზე, ეროვნულ სტადიონზე ითამაშებს.

გუშინ ეროვნული სტადიონი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილმა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავკაცმა კობა ბექაურმა ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან და ვეტერან ფეხბურთელებთან ერთად დაათვალიერეს. შედეგი: ეროვნული სტადიონი გარემონტდება!

საკრებულომ თავად გამოთქვა სურვილი და პირობაც დადო რომ „ეროვნული“ თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს ოდნავ მაინც მიუახლოვდება. ჯერჯერობით უცნობია რეკონსტრუქციის დაწყების თარიღი, თუმც სტადიონზე ამ დღეებში ნამყოფი კაცი კი შეამჩნევდა, რომ მცირე სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

საკრებულოს უპირველესი საქმე კი ინდივიდუალური სკამებია. თბილისის მთავრობის თქმით, სტადიონზე დაახლოებით 50 ათასი სკამის დამონტაჟება უახლოეს მომავალში დაიწყება და მალევე მთელი ტრიბუნა გაკოხტავდება.

ალექსანდრე ჩივაძე, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:

— მადლობა თბილისის საკრებულოს და მის ხელმძღვანელებს. მათ მოიწადინეს სტადიონის რემონტი და დაიწყეს კიდეც ეს საქმე. „ეროვნულის“ ტრიბუნები ინდივიდუალური სკამებით უახლოეს მომავალში ბოლომდე შეივსება, რაც დაახლოებით 65 ათას ადგილს მოგვცემს. საკრებულო ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. ეროვნული სტადიონი თითოეული ქართველის სიამაყე და დიდი გამარჯვების კერაა და ვიმედოვნებ, გაახლებულ „ეროვნულზე“ ეროვნული ნაკრებიც წარმატებით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ეროვნულ სტადიონის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ტრიბუნებზე სულ 22 ათასი სკამია დამონტაჟებული.

ძოგა ინასარიძე

სვანაძეს მძიმეგზა მიუღოცეს

„ლოკომოტივისთვის“ საგაზაფხულო ეტაპი უიღბლოდ დაიწყო. გუნდს ორი წამყვანი ფეხბურთელი, ზაზა ზირაქიშვილი და რამაზ სვანაძე დაუშავდა. ზირაქიშვილი ვარჯიშს მალე განაახლებს, სვანაძეს კი მენისკის გარდა ჯვარედინი იოგების გაწყვეტაც დაუდგინეს, რაც ხანგრძლივ, ნახევარ წელზე მეტი ხნის უქმობას ნიშნავდა. გუშინ რამაზს შევეხმიანეთ და მისგან უფრო საიმედო პასუხი მივიღეთ: „ექიმებმა გამოკვლევის შემდეგ მომილოცეს და მითხრეს, გადარჩიო. ჯვარედინა იოგები კი არა, კუნთები მქონია გაწყვეტილი. მენისკის ოპერაციას კი მაისის დასაწყისში გავიკეთებ. მანამდე მუხლში ანთება უნდა ჩაცხრეს. ნაოპერაციევს ორი თვეც დასვენება მომიწევს. ამის შემდეგ კი შეიძლება „ლოკომოტივს“ შეკრებაზე შევუერთდე“.

შეგახსენებთ, რომ სვანაძე „ლოკომოტივის“ საკუთრებაა, რკინიგზელებმა იგი „დინამოდან“ სრულად გამოისყიდეს.

დავით ერაძე

გვაზავას მოსკოვი მოუხდა

გადაწყვეტილი ამბავია, ალანიელი ქართველები მოსკოვში ცსკა-ს წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ. ლევან გვაზავას საქმე ისედაც გარკვეული იყო, ახლა კი ისიც შევიტყვეთ, რომ ვიტალი დარასელიასაც გაურთულდა ტრანსფერი. ორივეს მოსკოვში დაუსვეს დიაგნოზი. დარასელიას სულ მცირე, ათდღიანი სარეაბილიტაციო-სამკურნალო პროცედურებიც გამოუწერეს, გვაზავას კი ორი კვირით მოსკოვში დარჩენა მოუწევს.

— ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ტერფის მყესები მაქვს დაჭიმული. მკურნალობას მოსკოვში განვაგრძობ, ორ კვირაში კი ვლადიკავკაზში ჩავალ და მსუბუქად ვარჯიშს დავიწყებ. ასე რომ, შეიძლება, თამაში დაგეგმილზე ადრე დავიწყო — გვითხრა გუშინ გვაზავამ, მოსკოვში რომ შევეხმიანეთ. ლევანი „ალანიას“ მთავარ მწვრთნელ როლან კურბისსაც მოუნახულებია.

დავით ერაძე

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
მანჩესტერ იუნ. 2:0 ჩარლტონი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბარნლი 2:0 უიმბლდონი
მილუოლი 1:2 უოტფორდი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ლუტონი 1:1 ბორნმუთი
ოლდემი 1:1 რეძსემი

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ნორთჰემპტონი 0:1 ჰადერსფილდი
საუთენდი 2:2 ჰალი
იორკი 1:2 იოვილი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
შრიუსბერი 1:1 გრეივსენდი

შვედეთი

ალსვენსკა. III ტური
კალმარი 1:2 ჰამარბი

ავსტრია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბლაიბერგი 1:1 ტიროლი
ვიორგლი 1:2 უნტერზიბენბრუნი

მემფისის თასი
მეოთხედფინალი
რიდი 2:2დ.დ.(პენ.3:1, 1:1) კერნტენი

შოტლანდია

ასოციაციის თასი
ნახევარფინალი
გადათამაშება
დანფერმლაინი 3:2 ინვერნესი

სლოვაკეთი

თასის მეოთხედფინალი
ტრნავა 0:1 ლიხატვორცე

უკრაინა

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
დინამო 2:0დ.დ.(პენ.1:2, 2:0) დნიპრო (0:2)
შახტარი 1:0 ჩერნომორეცი (1:0)

დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

აეროდინამიკა და ახალაია დინამოს შესრულებით დილა გორში გაარჩიეთ

სანდრო იაშვილი მეკარეზე მაღლა

თბილისი. 20 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 600 (ტევადობა 5 000)

დინამო 1:0 დილა

1:0 ახალაია (69)

დინამო: გვარამაძე, კარლოსი, წერეთელი, ახალაია, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, გ. ნემსაძე, ანჩაბაძე (რომერო 79), მ. ბობოხიძე (მელქაძე 64), ს. იაშვილი (კანდელაკი 67)
სათადარიგონი: ზოიძე; ბურდული, ქოქიაშვილი, კაკალაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლომაძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, შატაკიშვილი, რაზმაძე (ძოძუაშვილი 85), ლ. გოჩაშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; საყვარელიძე, მალანია, ხანიშვილი, ჯოხაძე, ბ. შელია
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: შატაკიშვილი (24)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

დავით თავართქილაძე

ნამატჩევს „დილას" დამრიგებელმა ზურაბ ხორგუაშვილმა გვითხრა, პირველ ტაიმში საგოლე მომენტები რომ გამოგვეყენებინა, მოგებაც შეიძლებოდა, ყველაფერი მეორე შეხვედრაში გადაწყდება და ჩვენ ფინალში გასვლის საკმაოდ დიდი შანსი გვაქვსო. და როგორ ითამაშებს „დილა" გორში? ხორგუაშვილი შეგვპირდა, რომ ჟურნალისტებს ის მატჩი და „დილას" ტაქტიკა მართლაც გასარჩევი გვექნება.

გუშინ კი „დილამ" დაცვიდან ითამაშა, თუმც პირველ ტაიმში გორელთა შემტევები „დინამოს" მცველებს წამდაუწუმ აწუხებდნენ განურჩევლად იმისა, ბურთს ვინ ფლობდა. როგორც ჩანს, ასეთი იყო ხორგუაშვილის დავალება და „დილასაც" მალევე შეეძლო დაწინაურება — მამუკა წერეთლის შეცდომის შემდეგ ბექა ჩიტაია დავით გვარამაძესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ გაიტანა — გვარამაძემ ფეხით მოიგერია ბურთი.

„დილამ" ერთხელაც სცადა ბედი: საყრდენი ნახევარმცველი ზაზა ლაცაბიძე ჩინებულად ჩაერთო შეტევაში, ბურთი საბა სულთანიშვილს გადასცა, ვინც მარცხნიდან ჩააწოდა, გვარამაძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ არეულობაში კარის ხაზზე მდგომმა დავით კვირკველიამ ხიფათი განმუხტა.

ამის შემდეგ თამაში მთლიანად „დინამოს" კარნახით წარიმართა. თბილისელები მწვავე კუთხურებით გამოირჩნენ. ერთ-ერთი ნაკუთხური ბურთი ალეკო გოგობერიშვილს მიუვიდა და მან საშინელი ძალით დაარტყა, თუმც რამაზ სოლოლაშვილი უნაკლოდ გაისარჯა და ბურთი მოიგერია.

„დინამო" უტევდა, ჩვეულად თამაშობდა, მაგრამ სისწრაფე და აგრესია არსად ჩანდა, თუ არ ჩავთვლით მიხეილ ბობოხიძისა და სანდრო იაშვილის აქტიურობას. იაშვილი მაღალ ბურთებზე ლამაზად დაფრინავდა და ერთხელ სოლოლაშვილსაც მოუგო დუელი, მაგრამ ბურთი განზე წავიდა.

მეორე ტაიმში „დილას", ფაქტობრივად, აღარ შეუტევია, „დინამო" კი ზეწოლას აძლიერებდა და შუშაკელებმა ერთი ძალიან ლამაზი, აეროდინამიკური კადრი შექმნეს — იაშვილი ჰაერში აიწია, ბურთი თავით დაუგდო ბობოხიძეს, ვინც ჰაერში გაწვართულმა დაარტყა, მაგრამ ხარიხას შეაწყვიტა მრგვალი საგანი.

ივო შუშაკმა შეცვლებს მიმართა. ილია კანდელაკის შემოსვლამ ტაქტიკური გადაადგილება გამოიწვია — სიცხიანი გიორგი შაშიაშვილის არყოფნაში ლიბეროდ მოთამაშე ლადო ახალაიამ თავდასხმაში გადაიწია და როცა გიორგი ნემსაძის გამოზომილი პასი მიუვიდა, ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა „დილას" კარში.

გოლის შემდეგ „დინამოს" თითქოს სარქველები გაეხსნა, მაგრამ მეორეჯერ ველარ გაშლიგინდა სალოლაშვილის კარამდე, ბოლოს გობერიშვილს უნდა ეხეირა, თუმც საჯარიმო დარტყმამ ოდენ ხარიხა შეაზანზარა.

შუშაკმა მატჩის შემდეგ გვარამაძის გარჯა აღნიშნა, ახალაიაზე თქვა, შაშიაშვილის არყოფნაში სწრაფი უკანა მცველი გვჭირდებოდა და ამიტომაც ვათამაშეთ თავიდან ამ პოზიციაზეო, ბოლოს კი შუშაკმა ისიც დასძინა, გორული მატჩისთვის ლადო ბურდული სრულ მზადყოფნაში იქნებაო.

გუბერნატორი კარგია, მერიც, მაგრამ ჭირესი მთავარია

ქუთაისი. 20 აპრილი. 16 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 2:0 სპარტაკი

1:0 დავითაშვილი (30), 2:0 ჩხეტიანი (77)

ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, მახვილაძე, ს. თოდუა, ლ. ჭელიძე, ბოლქვაძე, ნერგაძე, კოშკაძე, ბაბუნაშვილი, დავითაშვილი (გ. დარსაძე 81), ხუციშვილი (გ. ჩხეტიანი 46)
სათადარიგონი: გ. გაბელია; ჭინჭარაული, ადუაშვილი, მემარნიშვილი, ნ. ნადირაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ლ. ვაშაკიძე, ჯანგიძე, კვერენჩხილაძე, ტატანაშვილი (პაპუაშვილი 79), მუშკუდიანი (მაღლაფერიძე 42), მჭედლიშვილი (კ. შალამბერიძე 59)
სათადარიგონი: გრძელიძე; ტაბიძე, ი. სამხარაძე, ს. შელია
მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

წლევანდელი სათასო სენსაციის ავტორმა „სპარტაკმა" ოთხი დღის წინ ჩემპიონატში დაამარცხა „ტორპედო". მაშინ ოთარ გაბელიამ რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, რათა თასის ნახევარფინალისთვის საუკეთესო შემადგენლობა ჰყოლოდა და ამ ნაბიჯმა გაამართლა.

ჩემპიონატის მატჩებთან შედარებით გუშინ მაყურებელიც უფრო მეტი მოვიდა „ტორპედოს" სტადიონზე, მთავარი მაყურებლები კი საქართველოს ნაკრების თავკაცი ალან ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული იყვნენ.

„ტორპედოს" უპირატესობას სრული ეთქმოდა. პირველი ხიფათი მე-10 წუთზევე შეიქმნა, როცა ნერგაძე-ბოლქვაძის კომბინაცია სულიკო დავითაშვილმა არაზუსტი დარტყმით დაასრულა. მალე გიორგი ნერგაძესაც შეეძლო თავის გამოჩენა. ყველაზე რეალური მომენტი კი 22-ე წუთზე შეიქმნა: იმავ ნერგაძემ დავით ბოლქვაძე მოძებნა საჯარიმოში, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

ანგარიში კი 30-ე წუთზე გაიხსნა. შოთა ბაბუნაშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან მომლოდინე დავითაშვილს გადააწოდა, „აბრეზა" მცველებს გასცდა და დევაძეს აულებელი დაურტყა — 1:0. შესვენებამდე მასპინძლებს კიდევ ორჯერ შეეძლოთ გატანა, მაგრამ მიხეილ ხუციშვილმა ჯერ არაზუსტად დაარტყა თავური, მერე კი მისი გასროლილი ძელმა უკუაგდო. „სპარტაკმა" მთელი თამაშის მანძილზე ერთი ხიფათიც ვერ შექმნა ზვიად სტურუას კართან. შესვენებისას სტადიონზე იმერეთის გუბერნატორი დავით მუმლაძე და ქალაქის მერი ნუგზარ ფალიანი მოვიდნენ. მათი ფეხი იღბლიანი გამოდგა. „ტორპედომ" უამრავი მომენტი შექმნა, რომელთაგან რამდენიმეს გამოვარჩევთ. 52-ე წუთზე აკაკი დევაძემ ბაბუნაშვილის თავური ეფექტური ნახტომით აიღო, 67-ეზე კი ალექსანდრე კოშკაძეს ჰქონდა რეალური მომენტი, მაგრამ დააყოვნა, მცველების მოტყუება მოინდომა და... წააქციეს. ყველა პენალტს ელოდა, თუმც არბიტრმა კრიჭაშვილმა სხვაგვარად განსაჯა და სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი აუფრიალა კოშკაძეს. მალე დავითაშვილმა ბაბუნაშვილი და დევაძე შეჰყარა ერთმანეთს — გამარჯვებული ისევ მეკარე დარჩა. რამდენიმე წუთში კი მეორე გოლიც გავიდა. დავითაშვილმა კოშკაძესთან გაათამაშა კედელი. „კოშკას" დარტყმული ძელმა უკუაგდო და გაგა ჩხეტიანმა დამატებაზე ყველას დაასწრო — 2:0.

ნოდარ აკობია, „სპარტაკის" მწვრთნელი: „ტორპედო" ძლიერი გუნდია და ღირსეულად მოგვიგო. ძნელი იქნება, მაგრამ განმეორებით თამაშში ჩვენსას ვეცდებით. მთავარია, უმაღლესში დავრჩეთ და საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ. იმედია, არ გავვარდებით.

ოთარ გაბელია: „სპარტაკმა" „ვიტ ჯორჯია" გამოთიშა და ფსიქოლოგიურად დათრგუნული არ იქნებოდა. მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. გასვლაზე იოლი თამაში არ გვექნება, მაგრამ იმედი მაქვს, ფინალში გავალთ.

ფრაიბურგი იაშვილს: რომ გიყურებ, ფული მგონიხარ

„ფრაიბურგის“ ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა ახალი სეზონიდან შესაძლოა გუნდი გამოიცვალოს და კარიერა ბუნდესლიგის უფრო ცნობილ კლუბში გააგრძელოს. გერმანელი ჟურნალისტები იაშვილის ტრანსფერის თაობაზე უკვე ალაპარაკდნენ. პოპულარული გამოცემა „კიკერი“ სეზონის ბოლოს ჩვენიანის „ფრაიბურგიდან“ წასვლას თითქმის გადაწყვეტილად თვლის, თუმც იმასაც ამბობს, სხვა გუნდში გადასვლამდე „ფრაიბურგი“ თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს კონტრაქტს 2007 წლამდე გაუგრძელებსო. სხვა გერმანული წყაროები უფრო შორს წავიდნენ და იაშვილის სავარაუდო ახალი გუნდებიც ჩამოთვალეს — „დორტმუნდი“, „ვოლფსბურგი“, „ჰერტა“. თავად ალექსანდრე იაშვილმა კი, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით, ეს გვითხრა:

დორტმუნდი, ვოლფსბურგი, ჰერტა: ვის აბია ქართველის თავი?

— „ფრაიბურგმა“ ორიოდ დღის წინ მართლაც შემომთავაზა ახალი სამწლიანი კონტრაქტი, თუმც ხელმოწერამდე დრო ვითხოვე, მოვიფიქრებ. კლუბის ხელმძღვანელებს ერთხელაც დაველაპარაკები და ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა ამ საქმიდან.

— ისე ლაპარაკობ, „ფრაიბურგთან“ კონტრაქტის გაგრძელების მაინცდამაინც დიდი სურვილი არ უნდა გქონდეს...

— არა, ეგ პრობლემა არაა. წინააღმდეგი არ ვარ, ახალი კონტრაქტი გავაფორმო. საქმე სხვაა: „ფრაიბურგიდან“ ამ სეზონის ბოლოს თავისუფალი ვარ და გუნდმა მთხოვა, ისე წადი, შენს სანაცვლოდ სატრანსფერო თანხა ავიღოთო. სწორედ ამიტომ მთავაზობს „ფრაიბურგი“ კონტრაქტის გაგრძელებას.

— მერე და ახალი კონტრაქტი რომ გააფორმო და „ფრაიბურგმა“ აღარ გაგიშვას?

— გამორიცხულია. ახალ კონტრაქტში იქნება ასეთი პუნქტიც — უფრო ძლიერი გუნდი თუ მოინდომებს ჩემს გადაბირებას, „ფრაიბურგი“ არ დამაკავებს.

— სიძლიერის კრიტერიუმი როგორია? სიტყვაზე, „კოლონი“ „ფრაიბურგზე“ სახელოვანი კია, მაგრამ ახლა ბუნდესლიგიდან ვარდება.

— ლაპარაკია სადღეისოდ „ფრაიბურგზე“ ძლიერ და სახელოვან გუნდზე. ჩემი კარიერისთვის ასე აჯობებს, ეს ხომ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

— მოკლედ, „ფრაიბურგი“ თავის ხეირისთვის გთავაზობს ახალ კონტრაქტს?

— ასეა. „ფრაიბურგს“ არ სურს მხოლოდ საკომპენსაციო თანხის ფასად დამთმოს. მესმის „ფრაიბურგის“ და არც ვეწინააღმდეგები. ბოლო-ბოლო, ამდენი ხანია აქ ვთამაშობ და მეგობრობასაც ანგარიში უნდა გავუწიო.

— შეგიძლია თქვა, რომ ახალ სეზონს ახალ გუნდში დაიწყებ?

— ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს. თუ „ფრაიბურგზე“ უკეთესი გუნდიდან მივიღე წინადადება, ნაღდად წავალ, თუ არა, რა აზრი აქვს იგივე დონის გუნდში გადასვლას. აქაც კარგად ვარ.

— ამას წინათ ითქვა, იაშვილს „ჰამბურგი“ ეპატიჟებაო...

— არა, „ჰამბურგზე“ არაფერი მსმენია.

— არც „დორტმუნდზე“, „ვოლფსბურგსა“ და „ჰერტაზე“? გერმანელი ჟურნალისტები ამბობენ, იაშვილს ეს გუნდები იწვევენო.

— მიწვევისა რა გითხრათ, თუმც ერთი-ორჯერ ყურმოკვრით ასეთი ამბავი მეც გავიგე.

— მერე?

— არაფერი. როგორც თქვენ იცით ეს ამბავი, მეც ისე ვიცი.

— „კიკერის“ თქმით, იაშვილის ტრანსფერზე იორგ ნოიბაუერი მუშაობს...

— ეს კაცი ჩემი აგენტია და ტრანსფერზე მართლაც მუშაობს. მისი კლიენტები გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებიც არიან — ფრიდრიხი, მეცელდერი, ბაინლიხი... ნოიბაუერი საკმაოდ ავტორიტეტული აგენტია.

— მას ბოლოს როდის ესაუბრე?

— ორიოდ დღის წინ. თუმც კონკრეტული გუნდების ჩემით დაინტერესებაზე არაფერი უთქვამს.

— კი მაგრამ, რამდენიმე ტურიც და სეზონი დამთავრდება.

— დამთავრდეს და მერე გეტყვით, სად შეიძლება გადავიდე. ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი ვიცი. ბუნდესლიგის ყველა გუნდი ჩემპიონატის დამთავრებას ელის. რა შედეგითაც ჩაამთავრებენ ბუნდესლიგას, სატრანსფერო საქმეებსაც იმის შესაბამისად აწყობენ. კლუბებმა ჯერ არ იციან, ახალი სეზონისთვის რისი თავი ექნებათ.

— ერთიც, „ვოლფსბურგთან“ ბოლო ტურში რატომ არ ითამაშე?

— სუსტად ვიყავი, სიცხე მქონდა და მწვრთნელმა ფრაიბურგში დამტოვა. ჯანზე ვერ ვიყავი, რა აზრი ჰქონდა ჩემს თამაშს?! ახლა მოვმჯობინდი და დღეს გუნდთან ერთადაც ვივარჯიშე.

ძოგბა ინასარიძე

ალექსანდრე იაშვილი მომავალ სეზონში შესაძლოა ფრაიბურგელი აღარ იყოს

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ბლოხინი ფეხბურთი შეიძლება გვერდზე დარჩეს

სლოვაკეთს თუ ვერ მოუგო, მთელი უკრაინა დაეჯახება

უკრაინა

მაგარ შარში გაეხვა უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი. უხეირო შედეგების გამო კრიტიკა არ აკლდა და უკრაინული პრესის გადამკიდეს ისედაც მოსვენება ჰქონდა დაკარგული, ახლა კი ამას სკანდალური ავარია დაერთო და ბლოხინს უკვე პოლიტიკურმა გაზეთებმაც შეუტიეს. შეგახსენებთ: უკრაინის ნაკრების თავკაცსა და უმაღლესი რადას დეპუტატს საკუთარი „ჰამერით“ ავარია შეემთხვა — დაეჯახა „ტავრია-ოკას“ და ამის შემდეგ ჯებირს შეასკდა. სკანდალი კი იმან წარმოშვა, რომ ჯერაც ვერ გარკვეულა, ვინ ოვდა „დაშნაშავე ჰამერის“ საჭესთან. ბლოხინი ამას უარობს, იდუმალი მძღოლი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

ჟურნალისტები ამბობენ, უკრაინელ სამართალდამცავთათვის მძღოლის ვინაობა ცნობილია, მაგრამ მის გამჟღავნებას ერიდებიანო. მოკლედ, ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ საავადმყოფოდან რამდენიმე დღის წინ გამოწერილ ნაავარიალ ბლოხინს მოწმის ან სულაც ბრალდებულის სტატუსით მოუწევს სამართალდამცავთა კითხვებზე პასუხის გაცემა, მანამდე კი მას წმინდა საფეხბურთო პრობლემაც მისძალებია — უკრაინის ეროვნული ნაკრები 28 აპრილს კიევში სლოვაკეთს მასპინძლობს ამხანაგურად და ამ მატჩში ფეხის დაცდენას მწვრთნელ-დეპუტატს ალბათ აღარ აპატიებენ.

ბლოხინის ბედი კი გარკვეულწილად ერთ პოლონელ ქალბატონზეც ჰკიდია, რაკიღა უეფას მიერ უკრაინა — სლოვაკეთის მატჩისთვის შეგულებულ პოლონელ მსაჯთა ბრიგადაში კატარჟინა ნადოლსკაც გახლავთ. ეს ქალბატონი გვერდითი მსაჯი იქნება. აქეც ისიც ვთქვათ, რომ 28 აპრილსვე უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებიც ითამაშებს სლოვაკ 21-წლამდელებთან. ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქეს გენადი ლიტოვჩენკო უთავკაცებს, რადგან გუნდის მთავარი მწვრთნელი პაველ იაკოვენკო ევროშესარჩევში ჩართულ უკრაინის 19-წლამდელთა გუნდს ხელმძღვანელობს.

პაატა ძვანტალიანი

კატარჟინა ნადოლსკა

დანია

მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევში საქართველოს თანაჯგუფელი დანიის ნაკრები 28 აპრილს კოპენჰაგენის „პარკენზე“ შოტლანდიის ნაკრებს ამხანაგურად ისტუმრებს.

ვიკინგთა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა საამმატჩოდ 22 ფეხბურთელი გამოიძახა. დანიის ნაკრების სრულ შემადგენლობას რომ გადახედავთ, მის ძალაში უმალ დარწმუნდებით — ოლსენმა ყველა რჩეული შეკრიბა, რომელთაც ერთი დებიუტანტი დაუმატა — ახალგაზრდა ესბიორნ სენელსი „ბრონდბიუს“ ფეხბურთელია.

მოკლედ, აი, დანიის ნაკრების საშოტლანდიო შემადგენლობაც:

მეკარეები: *თომას სორენსენი* (ასტონ ვილა, ინგლისი), *ჰეტერ სკოვ-იენსენი* (მიდტიულანდი), *სტეფან ანდერსენი* (აკადემისკი);

მცველები: *თომას ჰელვეგი* (ინტერი, იტალია), *ჰერ კროლდრუპი* (უდინეზე, იტალია), *ბრაიან პრისკე* (ვენკი, ბელგია), *რენე ჰენრიკსენი* (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), *ნიკლას იენსენი* (დორტმუნდი, გერმანია), *მარტინ ლაურსენი* (მილანი, იტალია), *ჰერ ნილსენი, ესბიორნ სენელსი* (ორივე ბრონდბიუ);

ნახევარმცველები: *თომას გრავესენი* (ევერტონი, ინგლისი), *კლაუს იენსენი* (ჩარლტონი, ინგლისი), *მორტენ ვიგჰორსტი* (ბრონდბიუ), *დანიელ იენსენი* (მურსია, ესპანეთი), *იესპერ გრონკიაერი* (ჩელსი, ინგლისი), *მარტინ იორგენსენი* (უდინეზე, იტალია), *დენის რომედალი* (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია);

თავდამსხმელები: *იონ დალ ტომასონი* (მილანი, იტალია), *ებე სანდი* (შალკე, გერმანია), *ჰეტერ მადსენი* (ბოხუმი, გერმანია), *კენეტ ჰერესი* (ალკმაარი, ჰოლანდია).

ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ნახევარფინალი. პირველი მატჩი, დღეს

პორტუ — დეპორტივო

პორტუ. „ესტადიუ დუ დრაგაუ“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

დეპორტივოს ნათლობა
მაურინიუს ერთი და ნოდი უნდა

„პორტუს“ სტრატეგი ჟოზე მაურინიუ

„მე მოგებაა მსურს და თუ ისე ვითამაშეთ, როგორც „მილანთან“ საპასუხო მატჩში, აუცილებლად გავიმარჯვებთ, მაგრამ თუ ისე ვითამაშეთ, როგორც „ვალიადოლიდთან“, მეტოქე კარს გოლებით ამოგვივსებს და ისე გაგვისტუმრებს. „პორტუსთან“ მაქსიმალური ყურადღება გვმართებს — თქვა „დეპორტივო ლა კორუნიას“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ და განაგრძო — ისინი შეცდომებს არ გვაპატიებენ. როგორც არ უნდა დასრულდეს პირველი მატჩი, ორრაუნდიანი ბრძოლის ბედი ლა კორუნიაში გადაწყდება. ეს ერთხელ უკვე დავამტკიცეთ „მილანთან“. ჟოზე მაურინიუს გუნდი განსაკუთრებით თამაშის კარგი ორგანიზაციით და დისციპლინით გამოირჩევა. „პორტუ“ ორი წელიწადია, ჩემპიონატსა თუ ევროსარბიელზე წარმატებულად გამოდის და ფსიქოლოგიურად შესაძლოა, უკეთეს მდგომარეობაში იყოს. საფეხბურთო იღბალიც აშკარად მათ მხარესაა“.

„დეპორტივო“ პორტუგალიურ კლუბს არასოდეს შეხვედრია. ლაკორუნიელთა „ნათლობა“ დღეს შედგება.

„პორტუ“ ესპანურ გუნდებს ევროთასებზე 27-ჯერ დაუპირისპირდა და მხოლოდ შვიდჯერ მოიგო.

აღსანიშნავია, რომ „დეპორტივოს“ შარშანდელი ფინალისტების დამარცხება დაებედა. ჯერ „იუვენტუსს“ სძლია, შემდეგ „მილანიც“ მიაყოლა, ახლა კი უეფას თასის ფინალისტ „პორტუს“ გადაეყარა.

ჟოზე მაურინიუმ მეტოქეს ნახევარდაცვა და შეტევა შეუქო: „ხავიერ ირურეტას მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან. ჩვენ მათ გაუვნებლებას შევეცდებით და ისე ვითამაშებთ, როგორც გვჩვევია. მე ორი ან სამბურთიანი სხვაობით მოგებას არ ვითხოვ, 1:0-ზეც თანახმა ვარ“.

ალბერტო ლუკე: „მილანის“ ძლევის შემდეგ უკვე აღარავისი გვეშინია და ვფიქრობ, ფინალში გასვლის შანსი „პორტუზე“ მეტი გვაქვს. „დეპორტივოს“ ახლანდელ შემადგენლობას ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეუძლია. პორტუდან ჩვენთვის სასურველი შედეგი თუ წავიღეთ, „რიასორზე“ გამარჯვება აღარ გაგვიჭირდება“.

ვაჟა ხუციშვილი

„პორტუს“ შესანიშნავი სამეული: კარლოს ალბერტო, დეკო და ვიტორ ბაია

საკვარაუდო შემადგენლობები

პორტუ

ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, პ. მენდეში, კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო

დეპორტივო

მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, რომერო, სერხიო, ვიქტორი, მაურო სილვა, ვალერონი, პანდიანი, ლუკე

დისკვალიფიცირებულნი:

პორტუ: არავინ

დეპორტივო: არავინ

ფრანგები პედრო პაულეტას ლუიშ ფელიპე სკოლარისთვის ჯერ ვერ იმეტებენ

საესის უჩინმაჩინი
სკოლარიმ ურჩებს შეუტია

ევროპის ჩემპიონატამდე თვეზე მეტი დარჩა. ფინალურ ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელები კი სამზადისში არიან. სვენ გორან ერიკსონმა ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ მზადაა, 23-კაციანი სია ახლავე დაასახელოს, პორტუგალიელთა თავკაცი ლუის ფელიპე სკოლარი კი პრობლემებს ებრძვის.

ბრაზილიელმა მწვრთნელმა თქვა, 16 მაისს ნაკრების ფეხბურთელთა საბოლოო ნუსხას შევადგენო. ამ დროისთვის პორტუგალიის თასის ფინალი და ჩემპიონატი უკვე მოლეული იქნება და 18 მაისიდან სკოლარი შეკრების დაწყებას აპირებს.

მომავალი თვის 28-ში ევრო 2004-ის მასპინძლებს შვედებთან ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი, მაგრამ გუნდს ზოგიერთი ლეგიონერი შესაძლოა, დააკლდეს. პრემერადივიზიონის მოსაგებად მებრძოლ მადრიდის „რეალს“ ლუიშ ფიგუს გაშვება არ სურს. პსჟ-ს, რომელსაც ჩემპიონობის შანსი ჯერ კიდევ აქვს, პედრუ პაულეტა არ ემეტება, ხოლო „პორტუ“ ლიგის ფინალში თუ გავა, ნაკრებს სამ ფეხბურთელს — დეკოს, ნუნუ ვალენტეს და კოშტინიას „დაუმალავს“.

გამოდის, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარი 18 მაისიდან გუნდს სრულყოფილად ვერ შეკრებს. ბრაზილიელ მწვრთნელს „რეალზე“ და პსჟ-ზე სიტყვა არ დასცდენია, „პორტუს“ გასაგონად კი თქვა: „მე აქ ფეხბურთის ფედერაციის დავალებით ვმუშაობ და უპირველესად მას ვემორჩილები. „პორტუ“ ჩემთვის ისეთივე ჩვეულებრივი გუნდია, როგორიც „სპორტინგი“, „ნასიონალი“ ან „ლეირია“. ჯერ ქვეყნის ინტერესები უნდა დავიცვათ და არა თითოეული კლუბისა“.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კი ერთგვარი „მრგვალი მაგიდა“ მოაწყო. ჩინოვნიკებმა ინაკი საესი, ნაკრების რამდენიმე წევრი და მედიის წარმომადგენლები მიიწვიეს. ძირითადად სამომავლო გეგმებზე მწვრთნელმა ისაუბრა. საესმა ყურადღება გაამახვილა კრიტიკაზე, რომელიც, მისი აზრით, უსამართლოა. ესპანელთა თავკაცს აქედანვე ევროპის ჩემპიონობას სთხოვენ, მაგრამ ამის გარანტიას ის ვერ მისცემს. „მე ვიღებ შენიშვნებს, თუ ის ფეხბურთში გარკვეული ხალხისგან მოდის. ჩემპიონატის დაწყებამდე კრიტიკოსებმა ტონი ოდნავ რომ შეარბილონ, უკეთესი იქნება. ერთადერთი, რასაც გთხოვთ, პატივისცემაა. ჩემი მისამართით აგდებულად საუბარს არავის ვაპატიებ“ — განაცხადა ესპანელთა თავკაცმა.

ინაკი საესმა დასძინა, რომ 20 მაისისთვის უეფას ნაკრების საბოლოო განაცხადს წარუდგენს. შესაძლოა, შემადგენლობაში აღმოჩნდეს ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში არასოდეს უთამაშია და ის, როგორც მედია ვარაუდობდა, მესამე მეკარე არ არის. მწვრთნელმა არ უპასუხა კითხვაზე, ვინ იქნება ინკოგნიტო.

„მხოლოდ ვარსკლავებით გუნდს ვერ შევქმნით. ჩვენ რომელიმე მეტოქეზე კლასით მაღალი ფეხბურთელები შეიძლება გვყავდეს, მაგრამ თუ ბოლომდე არ დავიხარჯეთ, მაშინ შანსები გათანაბრდება. პორტუგალიაში გამარჯვებისთვის ძალიან ბევრი შრომა დაგვჭირდება და ვინც ჩემს დავალებას ვერ შეასრულებს, თუნდაც რაული იყოს, შევცვლი“.

ვაჟა ხუციშვილი

ინაკი საესი

რაფას 44 ძველი უმჯობეს პრს

„ვალენსიას“ მწვრთნელ რაფა ბენიტესს ესპანური პრიმერადივიზიონის უნიჭიერეს ტაქტიკოსთა შორის ტყუილად როდი მოიხსენიებენ. მან ფრთხილი, გაწონასწორებული მოქმედების წყალობით ისედაც ძლიერი და სტაბილური გუნდი უფრო მრისხანე ძალად აქცია და ცხრილში ლიდერობა მოუტანა. მართალია, კვირას ბენიტესის მოწაფეებმა „სოსიედადთან“ მატჩი მოულოდნელად ფრედ დაასრულეს, მაგრამ ჩემპიონობაზე სხვებზე მეტ შანსებს ინარჩუნებენ. ამავდროულად მათ უეფას თასის ნახევარფინალში თანამემამულე „ვილიარეალთან“ უნდა იომონ. გასულ პარასკევს რაფაელ ბენიტესს 44 წელი შეუსრულდა. იუბილარს ესპანური „მარკა“ ესაუბრა

— „ვალენსიაში“ თქვენს გამორჩეულ თვისებად მოთამაშეთა ხშირი ცვლილებანი იქცა. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— ეს ცვლილებები ჩემი ჭირვეულობა ან ახირება არ გეგონოთ, აუცილებლობით არის გამოწვეული. სანამ რაიმე ცვლილებას ჩავიფიქრებდე, ყველაფერს წინასწარ ვზომავ, რათა გუნდი არასწორი ტაქტიკით არ დავაზარალო. დარწმუნებული ვარ, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, „ვალენსია“ ამდენ ხანს სალიდერო პოზიციებს ვერ შეინარჩუნებდა.

— თუმც ზოგიერთი თქვენი კოლეგა წარმატების მისაღწევად სხვა ხერხებს მიმართავს...

— თითოეული გუნდი გამარჯვებისთვის თავისებურად იბრძვის. ჩვენ, ჩვენი დონიდან გამომდინარე, ყველა ფეხბურთელი ფორმაში უნდა გვყავდეს. სხვანაირად უმაღლესი კლასის კლუბებთან შეხვედრისას ვერაფერს გავაწყობთ. „ვალენსიას“ უამრავი კარგი თვისება აქვს, მაგრამ ეს ერთ-ერთი უმთავრესია — ძალების ზომიერი განაწილებით მეტოქეებთან მეტწილად უპირატესობას ვაღწევთ.

— თამაშის დროს ცვლილებები უფრო იმიტომ ხდება, რომ სათადარიგო მოთამაშეებმა თავი გამოიჩინონ თუ ძირითადი თერთმეტი ნაკლებად დაიღალოს?

— არც ერთი გამოირიცხება და არც მეორე. ამით სათადარიგო შემადგენლობასაც კარგი შანსი ეძლევა და მთავარი გუნდის წევრებიც ისვენებენ.

— მადრიდელი კეირუშის სამწვრთნელო პოლიტიკას როგორ უყურებთ — „რეალში“ ტრადიციულად სათადარიგოთა სკამს არავინ სწყალობს...

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, „რეალი“ და „ვალენსია“ სხვადასხვა სამყაროა. იქ განწყობაც სხვანაირია, ფეხბურთელებიც და საერთოდ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ჩვენთან, „მესტალიაზე“. კეირუშს დამრიგებლობა მეტად რთულ დროს უწევს — სამეფო გუნდში ბევრის აზრის გათვალისწინება უხდება.

— ამ მხრივ თქვენთან შესამჩნევი თავისუფლებაა. ამბობენ, რომ რაფაელ ბენიტესი და „ვალენსიას“ საპრეზიდენტო საბჭო ერთმანეთთან სრულ თანხმობაში არიან...

— დაახლოებით ასეა. ჩვენთან ნაკლებად შეიმჩნევა ზემოდან დიქტატი. თითქმის ყველანი ერთმანეთის მეგობრები ვართ. თან ყველამ თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცის. გუნდს თუ დასჭირდა, უფროსობას პრეტენზიებს მოურიდებლად ვეუბნები. ხანდახან პრეზიდენტი მეხუმრება, ჩვენს კლუბში მთავარი პერსონა შენ ხარო...

— თანახმა იქნებოდით, თქვენი შეგირდებიც ისევე პირდაპირნი იყვნენ თავიანთ მწვრთნელთან, როგორც თქვენ ბრძანდებით „ვალენსიას“ თავკაცებთან?

— აქ საქმე ის არ არის, მე თანახმა ვიქნები თუ არა. როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს, ყველას აქვს სიმართლის თქმის უფლება.

— სად უფრო ძლიერად გრძნობთ თავს, მოედნის პირას მატჩის დროს თუ ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, ყოველდღიური საქმიანობისას?

— მწვრთნელის სიძლიერე ჩატარებული თამაშების შედეგით ფასდება. თუ ნებას დამრთავთ, ამაზე აღარ ვისაუბრებ...

— თქვენს გუნდს საფეხბურთო ევროპა აგრესიული, ძალისმიერი სტილით იცნობს, თუმც ამ ბოლო დროს „მესტალიას“ ბიჭებმა შედარებით ლაღი თამაში წამოიწყეს...

— აგრესიული გუნდი არასდროს ვყოფილვართ. იმას კი, რასაც თქვენ „ძალისმიერს“ უწოდებთ, მე უფრო სტაბილურობას დავარქმევდი. სხვასთან შედარებით არც წითელი ბარათები გვაქვს მეტი და არც ჯარიმათა რაოდენობა, უბრალოდ, ვცდილობთ, მეტოქემ მინდორზე თავისი გეგმების მიხედვით არ იმოქმედოს.

— „ვალენსიას“ წლევანდელი წარმატება უფრო თქვენი და თქვენი შეგირდების დამსახურებაა თუ მთავარი კონკურენტის, მადრიდის „რეალის“ მოულოდნელი ჩავარდნების?

— ძნელია, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მარტო „რეალის“ სისუსტეების შემხედვარე იყო. რა თქმა უნდა, „ვალენსიამ“ ცხრილში ამჟამინდელი მდგომარეობა თავისით მოიპოვა. არ ვუარყოფ — მეტოქეთა მცირე დახმარებით, მაგრამ ძირითადად ჩვენი ძალებით ვინარჩუნებთ ლიდერობას, რომელსაც იმედია, პრიმერას დარჩენილ მატჩებშიც არ დავკარგავთ.

— 24-ე ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მსაჯის მიერ დანიშნულმა საეჭვო პენალტმა „რეალი“ წაგებისგან იხსნა, ხოლო „ვალენსიას“ თითქმის ასპროცენტიანი გამარჯვება ხელიდან გამოაცალა. გაგიჭირდათ თქვენი ფეხბურთელების გამხნევება ამ მატჩის შემდეგ?

— არ გამჭირვებია, რადგან ჩვენი გუნდი პროფესიონალებისგან შედგება და მართლაც დიდ მადლობას ვუხდი ბიჭებს, ასეთი მძიმე დარტყმა ღირსეულად რომ გადაიტანეს. ახლა კრიზისმა გაიარა, „ბერნაბეუს“ პენალტიც შეძლებისდაგვარად დავიწყებას მიეცა და დღეს ოდენ პრიმერას ჩემპიონობაზე ვფიქრობთ.

— პარალელურად უეფას თასის მოსაპოვებლადაც იბრძვით. ეს რაიმე პრობლემას ხომ არ შეგიქმნით?

— არავითარი პრობლემა არ იქნება. პირიქით, უდიდესი სიამოვნებაა ორივე გათამაშებაში გამარჯვება და „ვალენსიას“ მიზანიც ესაა.

— დღევანდელი „ვალენსია“ თქვენს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს?

— ჩემთვის ის „ვალენსია“ ჯობდა, რამდენიმე წლის წინ ესპანეთის ჩემპიონობა რომ მოიგო. მაშინ უფრო შეთამაშებულები ვიყავით — დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა და მეტოქესაც ჩვენთან მოგების ნაკლები შანსი ჰქონდა. ახლანდელ გუნდს გარკვეული პრობლემები აქვს, რისი გამოსწორებაც თანდათანობით უნდა შევძლოთ.

— საინტერესოა რაფა ბენიტესის კერპი ვინ არის, რომელი მწვრთნელი თუ ფეხბურთელი...

— ფეხბურთელი, ფრანც ბეკენბაუერი.

— და მწვრთნელებიდან რომელი მოგწონთ?

— რთული კითხვაა, სრულყოფილი დამრიგებლის დასახელება უბრალოდ, შეუძლებელია. ძალიან მომწონდა კრუიფის „ბარსელონა“ და არიგო საკის „მილანი“, ჩემი აზრით, ბოლო პერიოდის შესანიშნავი გუნდები. მათი ფეხბურთი მართლაც ბრწყინვალე იყო, რაც თავისთავად ჭკვიან მწვრთნელთა გარეშე არაფრით განხორციელდებოდა.

იო, პროტესტო!

კატანიას პერუჯას უსჯიან

„პერუჯამ“ „სამპდორიასთან“ 2:3 ნააგო, მაგრამ ერთ ეპიზოდში მსაჯს აშკარა პენალტი რომ დაენიშნა, თამაში იქნებ 3:3-იც დასრულებულიყო

ლუჩანო გაუჩი

„ჩვენ გუნდი შეჯიბრებიდან შეიძლება სულაც მოვხსნათ — გამძვინვარდა პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი — თუ ამ წინადადებას ქომაგები და ქალაქის ხელმძღვანელები მხარს დაუჭერენ, ჩვენი მხრიდან ყველაფერი გადაწყვეტილია“.

შეგახსენებთ, რომ გაუჩი და მისი კოლეგები მთელი სეზონის განმავლობაში ჩივიან. მათ სწამთ, რომ გუნდის წინააღმდეგ შეთქმულებაა და „პერუჯა“, რომელიც ახლა უეჭველად გავარდება, მსაჯებს ემსხვერპლა.

„ჩვენ რაღა საჭირო ვართ, გამოვიდეს მეტოქე გუნდი და თავის თავს ეთამაშოს. ყოველ კვირას თოთხმეტი ადამიანი გვიპირისპირდება და ამას დასასრული არ უჩანს“ — თქვა გაუჩიმ, რომელიც აქამდე მსაჯთა ასოციაციის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებდა.

„ბოლო სამი შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. მაგალითად, „სამპდორიასთან“ აშკარა პენალტი რომ დაენიშნათ, ფრედ კი არ ვითამაშებდით, არამედ გავიმარჯვებდით“ — უთხრა პრეზიდენტმა ადგილობრივ „ტელელომბარდიას“.

როდესაც ჯარიმიდან პერუჯელი ზე მარიას დარტყმული ბურთი სერჯო ვოლპის მკლავში მოხვდა, ანგარიში თანაბარი იყო.

„როგორც ჩანს, ჩვენ ცხოვრებას ვურთულებთ მათ, ვინც ძალაუფლებას ფლობს და მათაც, ვინც ძლიერთა ბრძანებებს ასრულებს. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ „პერუჯასთვის“ ქვეყანაში მოგზაურობა და თამაში ძალის და სახსრების უაზრო ხარჯვაა“ — განაგრძო გაუჩიმ, რომელიც სერია B-ში კიდევ ერთ კლუბს, „კატანიას“ ფლობს. სწორედ ამ „კატანიას“ ატეხილმა ამბავმა გამოიწვია სერია B-ს 24 გუნდამდე გაზრდა და გაუჩი დარწმუნებულია, რომ ის, რაც „პერუჯას“ თავს ხდება, შურისძიებაა.

შეგახსენებთ, რომ „კატანიამ“ პირწმინდა საფეხბურთო საკითხის გამო სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა, ყველაფერი არია-დარია, საფეხბურთო დიდმოხელეებს სასამართლოს გადაწყვეტილება ააფარა სახეზე, სერია B-დან გავარდნა არ მერგებაო და ერთი სიტყვით, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ფედერაციამ კარსმომდგარი ჩემპიონატის ჩაშლას ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა ამჯობინა.

როდესაც „ტელელომბარდიას“ კორესპონდენტმა გაუჩის კონკრეტული გვარების და სახელების დასახელება მოსთხოვა, მან ფედერაციის პრეზიდენტ ფრანკო კარაროზე მიუთითა:

„არ იცით ამ ქვეყანაში ფეხბურთს ვინ პატრონობს? ბრძანებებს მხოლოდ ერთი, დიდი-დიდი ორი ადამიანი იძლევა“.

ხოლო კითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკურად ანუ თეორიულად „პერუჯა“ გავარდნილი ჯერ არ არის, რატომ აცხადებენ თავს განწირულად, პასუხი ასეთი იყო:

„ჩვენს გუნდს თავისუფლად შეუძლია ბოლო ოთხი თამაშის მოგება, მაგრამ ვინაიდან ვიცით, რომ ამის საშუალებას არ მოგვცემენ, გვიჯობს, სულ არ შევიწუხოთ თავი“.

პაპუნა ძედია

დიეგოს გადასარჩენად

მისი გული ამასაც გაუძლებს

ბუენოს აირესის კერძო კლინიკაში კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაშია ფეხბურთის მეფე, 43 წლის დიეგო არმანდო მარადონა, ვინც კვირას „ბოკას“ თამაშზე ყოფნის შემდეგ გახდა ცუდად საავადმყოფოში და გააქანეს სიკვდილთან საბრძოლველად.

ექიმთა სიტყვით, მარადონას მდგომარეობა „კრიტიკული“, მაგრამ ამ ვითარებისთვის „დამაკმაყოფილებელი“. მას კვლავ ხელოვნურად ასუნთქებენ და აცხადებენ, რომ „ერთგვარი პროგრესი“ მიღწეულია.



ფეხბურთელის პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ განაცხადა, რომ ჭორები იმის თაობაზე, თითქოს დიეგოს კოკაინის ზედმეტი დოზა მოუვიდა, ტყუილია და ავადმყოფობის მიზეზიც დადგენილია — გაციების შედეგად ფილტვში შეღწეული ინფექცია.

მარადონა წლების განმავლობაში ებრძოდა მავნე ჩვევას და ჰავანაში გავლილი კურსის შემდეგ თითქოს განიკურნა და ზედმეტადაც გასუქდა. კვირა საღამოს ის მაღალი წნევით, გულწასული წაიყვანეს კლინიკაში. ექიმი კაე აცხადებს, რომ საქმე უარესობისკენ არ მიდის, მაგრამ „მისი სიცოცხლე იყო რისკის ქვეშ და ახლაც არის რისკის ქვეშ. ერთგვარი უკეთესობა არის, მაგრამ არა გადამწყვეტი“.

გუშინ დიეგოს ჯანმრთელობის შესახებ არგენტინის პრეზიდენტმა ნესტორ კირხნერმაც ილაპარაკა და მისი გამოჯანმრთელება შესთხოვა ღმერთს. ავადმყოფს თავს ახვევიან ყოფილი ცოლი და ქალიშვილები, ასევე მეგობრები. კლინიკის წინ კი ხალხის ტევა არ არის.

პალატაში შესულან კარლოს ბილარდო, მარადონას ყოფილი აგენტი გილერმო კოპოლა და მარადონას მეგობარი, ძველი ფეხბურთელი ექტორ ენრიკე.

მარადონას უკანონო ვაჟის დედამ კრისტიანა სინარამ კი იტალიიდან ისურვა მისი ჯანმრთელობა: „მალე უნდა დადგეს ფეხზე. მძიმე წუთები აქვს, მაგრამ გაუძლებს“.

კლინიკის წინ ზოგჯერ იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ პოლიციის გამოძახება და კორდონების ჩაყენება ხდება ხოლმე საჭირო. „დიეგო, შენ უყვარხარ არგენტინას!“ — ყველაზე ხშირი ტრანსპარანტია.

2000 წელს, მონტევიდეოში ყოფნისას მარადონას გულის შეტევა დაემართა, რაც კოკაინის ზედმეტი დოზით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ მან ლამის მთელი წელიწადი გაატარა კუბაზე, სადაც იმკურნალა, მაგრამ უზომოდ გასუქდა, რითაც გულს კიდევ მეტი პრობლემები შეექმნა.

მარადონას ავადმყოფობას თავისებურად გამოეხმაურა ლუის სესარ მენოტი: „ჩვენ უნდა ვასწავლოთ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომ იოლად შეიტკბონ დიდება. დიეგოს გაუბედურებაში ლომის წილი პრესას უდევს, მაგრამ მისმა გულმა ბევრს გაუძლო და ამასაც გაუძლებს“.





მარადონას საოცარი და ფათერაკებით სავსე საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. უთამაშია „არგენტინოს ხუნიორსში“, საყვარელ „ბოკაში“ (ორჯერ), „ბარსელონაში“, „სევილიაში“ და „ნაპოლიში“, რომელთან ერთადაც ისტორია შექმნა და სკუდეტო მოიგო. მარადონამ პირადად მოიგო 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და ოთხი წლის თავზე ფინალში გაიყვანა არგენტინა.

1989 წელს მარადონამ უეფას თასი მოიგო „ნაპოლისთან“ ერთად. 1991 წელს დოპინგ-ტესტში კოკაინზე ჩავარდა და 15 თვით მოკვეთეს ფეხბურთიდან. კარიერაში მეოთხე მსოფლიო თასზე, 1994 წელს ის კვლავ მოკვეთეს სისხლში აკრძალული წამლების კვალის აღმოჩენის გამო. ის ისტორიულ რეკორდზე მიდიოდა — იქამდე არავის ეთამაშა 22 მატჩში მსოფლიოს ჩემპიონატზე. 2000 წელს მარადონამ სახალხო გამოკითხვა მოუგო პელეს საუკუნის ფეხბურთელის ტიტულისთვის, თუმცა ფიფამ წოდება გაყო და პელე თავის რჩეულად გამოაცხადა, მარადონა კი ხალხისად.

ირაკლი გამყრელიძე

ეს კი ასე უბერავს

პელე პიანისტებზე და ამღერებებზე

ფეხბურთის ძველხელმწიფემ, პელემ გუშინ ერთერთ შვეიცარიულ გაზეთთან საუბრისას მადრიდის „რეალი“ მწარედ გააკრიტიკა. პელეს აზრით, კასტილიური გრანდის თაოსანთა სატრანსფერო აკანტურების გამო გუნდი მოერიშე ვარსკვლავებით დაიხუნძლა და სხვადასხვა სათამაშო რგოლს შორის წონასწორობა დაირღვა. „რეალის“ მესვეურთა ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ერთიანი, ნამდვილი გუნდის შედგენა დაავიწყდათ. „რეალი“ ვირტუოზი შემსრულებლების ანსამბლს დაემსგავსა, მაგრამ განა მარტო მათ შეუძლიათ საჭირო დროს საჭირო გამარჯვების მოპოვება? „ბერნაბეუზე“ მხოლოდ ის ხალხი კი არ უნდა იყოს, ვინც პიანინოზე ჩინებულად უკრავს, არამედ ისიც, ვისაც ძნელბედობისას ამ პიანინოს აწყობა ეხერხება“ — დამოძღვრა ბრაზილიელმა ფლორენტინო პერესი და მისი ხელქვეითები. პელემ დაბეჯითებით თქვა, რეალელები ამ სეზონში წარმატებებს არ უნდა ელოდნენ: „რეალი“ ასე ვერაფერს მოიგებს. შედეგებს გადახედეთ: სამეფო თასი დაკარგეს, ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშნენ და იმ ერთადერთ ტურნირში, პრესტიჟის აღსადგენად რომ რჩებათ, რიგიანად ვერ თამაშობენ, ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს...“

პელესთვის სამაგალითო და საანიმუშო გუნდად კვლავაც მისი მშობლიური „სანტოსი“ რჩება. „60-იან წლებში დიდებული შემადგენლობა გვყავდა. იმ დროის „სანტოსში“ შეტევაც მოსაწონი იყო და დაცვაც. ის დაცვა გულშემატკივართა გულისხეთქვის მიზეზი თითქმის არასდროს გამხდარა. მშვიდად, გაწონასწორებულად ვთამაშობდით, რასაც დღევანდელ „რეალში“ ნაღდად ვერ ვხედავ. „სანტოსში“ იყვნენ ლიმა, კუტინიო და პელე, მაგრამ ამავდროულად პერსონალურ მცველთა ძლიერი სისტემაც გვქონდა. მადრიდში კი პრეზიდენტის შეცდომების წყალობით ბრძოლისუნარიანი უკანახაზელები თითზე ჩამოსათვლელნი არიან“ — განაცხადა დუ ნასიმენტომ, რომელსაც სრული უფლება აქვს, სამოციანების „სანტოსით“ იამაყოს — ამ კლუბმა მაშინ ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი, ორჯერ ლიბერტადორესის, ხუთჯერ ბრაზილიის თასი, რვაგზის ბრაზილიის ჩემპიონობა და სხვა უამრავი ტიტული მოიგო, თუმცა... მუსიკალური ტერმინებით ამეტყველებულ მეფეს მისგან დაწუნებული სამეფო გუნდი უმალ გამოეხმაურა. „სანტიაგო ბერნაბეუს“ დაცვა თავად „რეალმა“ არა, მაგრამ მისმა ერთგულმა გაზეთმა მადრიდულმა „ასმა“ იკისრა. მავანი კარმენ კოლინო, ესპანური ცეცხლით გულანთებული კორესპონდენტი, პელეს საკმაოდ მოურიდებლად შეახსენებს — „განა შენ იმ „სანტოსის“ წარმომადგენელი არ ბრძანდები, 1959 წლის 17 ივნისს მიგელ მუნიოსის საბენეფისო მატჩზე მადრიდში რომ გვეწვიე, პირველი გოლიც გაგვიტანე, მაგრამ საერთო ჯამში 3:5 წააგე და მას შემდეგ „რეალი“ ჭირივით გძულს, გეზიზღება და ერთ შანსს არ უშვებ ხელიდან, მისი ლანძღვა-გინებით გული არ მოიოხო“. დამეთანხმებით, დიდი ვერაფერი თავის მართლება გამოვიდა. ისე კი, ამ ბოლო დროს ხელმწიფეთა სახელები ხშირად ისმის ჩვენში. ავმეხსიერებიანი მეფე პელე სამეფო მადრიდის „რეალს“ ეომება მაშინ, როცა ვინ იცის, ალბათ ყველაზე პოპულარული EL REY დიეგო არმანდო მარადონა ბუენოსაირესულ კლინიკაში ყველა მონარქზე უფრო შემზარავს, სიკვდილს ებრძვის...

ლადო ხომერიკი

არ გაყალბებულა

არჩევნების შედეგები დღეს გამოცხადდება

უეფამ ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გულშემატკივრების გამოკითხვა მოაწყო, რომლის მიზანიც ევროპის ბოლო 50 წლის საუკეთესო 50 ფეხბურთელის გამოვლენაა.

უეფას მიერ შერჩეულ 250 კანდიდატს დახლოებით 7 მილიონმა ქომაგმა მისცა ხმა. უკვე ცნობილია, რომ 50-ე ადგილზე 42 ათას 511 ხმით ალესანდრო კოსტაკურტა გავიდა. გუშინ გაირკვა მეოთხეადგილოსანიც — მარკო ვან ბასტენი, 117 987 ამომრჩევლით.

გამოკითხვას სამი ლიდერი ჰყავს: ფრანც ბეკენბაუერი, იოჰან კრუიფი და ზინედინ ზიდანი. ამ სამეულიდან საუკეთესოს ხვალ კვიპროსში, უეფას კონგრესზე დაასახელებენ.



ოლდ ტრეფორდი გადარჩა

თვითმკვლელები დიდ აფეთქებას გეგმავდნენ

„ოლდ ტრეფორდი“ საშინელებას გადაურჩა. პოლიციის მძლე რეიდის შედეგად დაპატიმრებულია ცხრა ისლამისტი, რომლებსაც ამ შაბათს „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ მატჩზე საკუთარი თავიც უნდა აეფეთქებინათ და 67 ათასი მაყურებელიც, „ოცნების თეატრში“ რომ მოიყრიდა თავს.

ფანატიკოსებს ამ მატჩის ბილეთებიც კი ჰქონდათ ნაყიდი და სტადიონის სხვადასხვა ადგილას დასხდებოდნენ, რათა მსხვერპლი მეტი ყოფილიყო.

სამშაბათს პოლიციამ ყველა ეჭვმიტანილი დააპატიმრა. თამაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადაიცემოდა და ამიტომ ამ საზარელი აქტის რეზონანსი დიდი იქნებოდა. მანჩესტერში მიმდინარე ოპერაციაში 400 პოლიციელი და საიდუმლო სამსახურის მუშაკი მონაწილეობდა. გამომძიებლები ამბობენ, რომ მიაკვლიეს ალ-ქაიდას ყაიდის პირველ ორგანიზაციას ბრიტანეთში.

დაპატიმრებულ ცხრა კაცს ერთი ქალიც დაემატა — ყველანი ჩრდილოაფრიკელი არაბები და ერაყელი ქურთები არიან.

ირაკლი გამყრელიძე

მანჩესტერის პოლიციამ სანიმუშოდ იმუშავა

კორუმპირებულები

პოლიციამ პორტუ გაჩხრიკა

პორტუგალიის პოლიციამ გუშინ პორტუში 16 კაცი გაბაწრა. გრანდიოზული ოპერაცია, კოდირებული სახელწოდებით „ოქროს სასტვენი“, 150-მდე სამართალდამცავმა ოპერატიულად ჩაატარა.

დაკავებულთა შორის არიან ქვეყნის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ვალენტინ ლოურერიუ, რამდენიმე ჩინოვნიკი და მსაჯები.

ვალენტინ ლოურერიუ

დაახლოებით 60 სახლი, სპორტული ორგანიზაციების ოფისები და საფეხბურთო ლიგის შენობა გადაქექეს.

დიდმოხელე პოლიციელის თქმით, ლოურერიუს და მის დამქაშებს ჩემპიონატის მატჩებში მსაჯების მოსყიდვას აბრალებენ. ეჭვმიტანილები გუშინვე დაკითხეს. სახლებიდან და ოფისებიდან სამხილები ამოიღეს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟილბერტუ მადიალმა მომხდართან დაკავშირებით თქვა: „სამწუხაროა, მაგრამ არ გამიკვირვებია, რადგან გაზეთებს ვინც კითხულობს, შეამჩნევდა, რომ მსაჯთა შეცდომებზე ძალიან ხშირად იწერებოდა და მოსყიდვებთან დაკავშირებით ეჭვი დიდი ხანია არსებობს“.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „ლეჩეს“ ხელმძღვანელობამ ურუგვაელი ხავიერ ჩევანტონის სატრანფერო ფასი დაასახელა. „ვისაც მისი შეძენა სურს, სულ ცოტა 7,5 მილიონი გირვანქა უნდა გადაიხადოს, ჩევანტონს ნაკლებ ფასად უბრალოდ, ვერ შეველევით“ — თქვა „ლეჩეს“ სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ. ამ ურუგვაელი ფორვარდით ყველაზე მეტად ჯერჯერობით „მილანია“ დაინტერესებული, თუმც მას თვალი „ლაციომ“ და „ვალენსიამაც“ დაადგეს.

უელსის საფეხბურთო ასოციაცია ეგრეთ წოდებულ „ტიტოვის საქმეს“ არ ეშვება. როგორც იცით, რუსი ფეხბურთელი დოპინგის მიღებაში ამხილეს და რვათვიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. თუმცა უელსისთვის ეს დიდი ვერაფერი ხეირია, ბრიტანელებს ევრო 2004-ის პლეი ოფის მატჩების გაუქმება და პორტუგალიაში რუსების ნაცვლად გამგზავრება უნდათ. მათი სარჩელი უეფამ უკვე ორჯერ არ დააკმაყოფილა, მაგრამ, უელსი იმედს მაინც არ კარგავს და ახლა ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში ეძებს სამართალს.

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა ალესიო ტაკინარდიმ „პარმასთან“ ბოლო ტურის მატჩში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. ექიმებმა ჯერ ზუსტად არ იციან, რამდენი ხანი გაუცდება 28 წლის ფეხბურთელს, მაგრამ ის, რომ ტაკინარდის საკმაოდ ხანგრძლივი უქმობა ელის, უკვე ცნობილია. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა იტალიელი სრულ შემოწმებას გაივლის.

ფრანგული „ოსერის“ ფორვარდ ჯიბრილ სისეს უეფამ დისკვალიფიკაცია შეუმცირა. ახლა სისეს ოთხი სანაკრებო თამაშის გამოტოვება მოუწევს და ევრო 2004-ზე თამაშს შეძლებს, მაგრამ მხოლოდ ნახევარფინალიდან. ერთი კი საეჭვოა, „მამლები“ ასეთ ფეხბურთელს პორტუგალიაში წაიყვანენ?

ირანელი ვაჰიდ ჰაშემიანი მომავალი სეზონიდან მიუნხენის „ბაიერნში“ ითამაშებს. ჯერ კიდევ „ბოხუმის“ ფორვარდი წლეულს კარგად თამაშობს და 14 გატანილი გოლით ბუნდესლიგის ერთ-ერთი ბომბარდირია. „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა თქვა, ჰაშემიანი თავით ჩინებულად ბურთაობს და ჩვენც განსაკუთრებულად ამან მოგვხიბლაო.

რუსეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ანდრეი კანჩელსკისი მოსკოვის „დინამოს“ უჩივის. ვეტერანი ფეხბურთელი ირწმუნება, რომ იგი კლუბიდან არაკანონიერად გააგდეს. გარდა ამისა, კანჩელსკისმა სამართალდამცავებს რამდენიმე დღის წინ მომხდარი ინციდენტის გარკვევა მოსთხოვა — 14 აპრილს მასთან რამდენიმე პიროვნება მისულა და ურჩიეს, ენას კბილი დააჭირეო.

იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დიდიე დროგბათი „იუვენტუსის“ გარდა „მილანი“ და „ინტერიც“ დაინტერესდნენ. შეგახსენებთ, რომ იქაური ჟურნალ-გაზეთები ცოტა ხნის წინ წერდნენ, „მარსელის“ ფორვარდი ზაფხულში ტურინში გადაბარგდებაო. როგორც ჩანს, დროგბასთვის ბრძოლაში მილანური კლუბებიც ჩაერთვნენ.

გერმანელი ოლივერ ნოივილი სავარაუდოდ, გლაზგო „რეინჯერსში“ გააგრძელებს კარიერას. თავდამსხმელს ლევერკუზენის „ბაიერთან“ კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და შოტლანდიურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით აპირებს გადაბარგებას. ნოივილმა წინა კვირას „ჩაფრების“ დამრიგებელ ალექს მაკლიშთან ისაუბრა და მწვრთნელს სიტყვიერი თანხმობაც მისცია. „ჩვენ ოლივერთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დავიწყებთ მოლაპარაკებას, თუმცა თუ გუნდის დატოვებას გადაწყვეტს, არ დავაკავებთ და არც ხელოვნურ დაბრკოლებებს შევუქმნით“ — განაცხადა „ფარმაცევტთა“ მენეჯერმა ილია კანციგმა.

ესპანური „ბარსელონას“ თავკაცი ფრანკ რაიკარდი კატალონიელთა ბოლოდროინდელი თამაშით ძალიან კმაყოფილია. „ბოლო დროს თავით ანუ ჭკვიანურად თამაში დავიწყეთ, რაც უზომოდ მახარებს, შედეგსაც შესაბამისს ვიმკით. რაც შეეხება „მალაგასთან“ მატჩს, ლუის გარსიასა და ხავიერ სავიოლას გამოვარჩევდი. პირველმა ძალიან კარგად ითამაშა, საკმაოდ ანერვიულა „მალაგას“ დაცვა, ხოლო მეორემ გარსიას საგოლე პასის გარდა, თავადაც გაიტანა. აქვე, სავიოლას, „ბარსას“ რიგებში ჩატარებულ მეასე შეხვედრას მივულოცავ. ახლა ლიდერებს მხოლოდ შვიდი ქულა გვაშორებს, ხუთი ტურია დარჩენილი და ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის მაინც გავიბრძოლებთ“ — განაცხადა რაიკარდმა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი პოლ სქოულზი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. სქოულზმა ეს სასჯელი „მიდლსბროს“ ბრაზილიელ ლეგიონერ ჟუნიორ დორივასთან უხეში თამაშის გამო მიიღო. სქოულზი „ჩარლტონთან“, „ლივერპულთან“ და „ბლექბერნთან“ მატჩებს გამოტოვებს.

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXXI ტური

არმინია 3:0 ალემანია

1:0, 2:0 ბო

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ფრანსისკო ხენტო

კანტაბრიელი სოფლის ბიჭი პაკო

ფრანსისკო ხენტო იყო ფეხბურთელი, რომელიც ექვსჯერ ფლობდა ჩემპიონთა თასს. ასეთი შედეგი სხვას არავის ჰქონია. მას ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ მოთამაშედ მიიჩნევენ, ხენტოს ეპოქაში მისი ტოლი სიჩქარით ვერავინ დარბოდა — ას მეტრს თერთმეტ წამში იტოვებდა უკან

ფრანსისკო ხენტო იყო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ესპანეთის თორმეტგზის ჩემპიონი, ესპანეთის თასის ორგზის მფლობელი, თასების თასს ფინალისტი და სხვა უფრო წვრილი ტიტულების მფლობელი. ის გახლდათ „რეისავიკი“ მძღოლის შვილი, ჰყავდა ოთხი ძმა და ერთი და. ხენტოების ოჯახი სანტანდერის ახლოს, სოფელ გუარნისოში ცხოვრობდა და ოჯახის უფროსის თავისებური პროფესიის მიუხედავად, ძროხების ფერმასაც პატრონობდა. ბუნებრივია, როგორც ასეთ პირობებში მყოფი სხვა ბავშვები, პაკოც იმთავიდანვე ეხმარებოდა თავისიანებს მეურნეობაში, ღონიერ სოფლელ ბიჭად იზრდებოდა და ფეხბურთს ოკეანის პირას უბერავდა მოცალეობის დროს.

მამა ხენტო შვილის ბურთაობას არასდროს აღდგომია წინ. საქმის არის, რომ ახალგაზრდობაში თავად ოცნებობდა ფეხბურთელობაზე, მაგრამ ვაგლახ, იმ წლებში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და მაშინდელი ახალგაზრდების ოცნებებისთვის არავის ეცალა. ამიტომ, როდესაც პაკომ „ნუეკა მონტანიაში“, „ასტილიეროში“ და შემდეგ „რაიო კანტაბრიაში“ დაიწყო თამაში, მამისთვის ეს იღბალზე შურისძიების შესაძლებლობა გამოდგა. 19 წლის ხენტო რეგიონის უდიდესმა კლუბმა, სანტანდერის „რასინგმა“ აიყვანა, ხოლო ამ ბედნიერი დღიდან რამდენიმე თვის შემდეგ... „რეალმა“! მაშინ 1953 წლის ზაფხული იდგა. „რეალში“ სანტანდერელ ბიჭთან ერთად მივიდა სხვა ბიჭიც, ალფრედო დი სტეფანოდ წოდებული. ბიჭებმა იმ ზაფხულიდან მოყოლებული, მოედანზე 11 წელიწადი გაატარეს ერთად.

ევროპული აღიარება ხენტომ 1955 წელს მოიპოვა, როდესაც ლათინური თასის ფინალში „რეალმა“ „რეიმსი“ დაამარცხა. მაშინ უკვე ყველამ მიაპყრო ყურადღება მარცხენა გარემარბს, რომელიც, გაცვეთილი შედარება რომ მოვიშველიოთ, ქარივით დაქროდა და ამიტომაც შეარქვეს „გალიერნადე კანტაბრია“ ანუ კანტაბრიული გალიერნადე — ქარია იქაური, ნორდ-ოსტი.

1955 წლის 18 მაისს კი ხენტომ უკვე ნაკრებშიც ითამაშა, მადრიდში ესპანელებმა და ინგლისელებმა ერთმანეთის კარში თითო გოლი გაიტანეს — თუმცა 1958 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიბრწყინა — ესპანეთმა შესარჩევი ტურნირი ვერ გადალახა.

ხენტომ და მისმა მადრიდელმა მეგობრებმა სანაკრებო დანაკლისი საკლუბო დონეზე აინაზღაურეს, 1955 წელს დაფუძნებული ჩემპიონთა თასი ზედიზედ ხუთჯერ მოიგეს და ამ ხუთი ფინალიდან სამში ჩვენი წერილის გმირმა ითამაშა უდიდესი როლი.

1956 წლის 13 ივნისს, პარიზში, „პარკ დე პრენსზე“, როდესაც „რეალისა“ და „რეიმსის“ შეხვედრაში ანგარიში 3:3 იყო, პაკო ხენტომ რიალს გამარჯვების პასი მიაწოდა; 1957 წლის 30 მაისს, მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუზე“, „ფიორენტინასთან“ მძიმე შეხვედრაში ხენტომ ისე გააწამა მეურვე, გვარად ჩერვატო, რომ მან ბოლოს და ბოლოს, იგი საჯარიმოში წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. ის პენალტი დი სტეფანომ შეაგდო. ამის შემდეგ, ხენტომ თავად გაიტანა მეორე; 1958 წლის 28 მაისს, ბრიუსელში, „ეიზელზე“, როდესაც „რეალის“ წინააღმდეგ „მილანი“ იდგა და მადრიდელებს ორჯერ მოუხდათ ანგარიშის გათანაბრება, ხენტომ თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი და, ალბათ, ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა. ეს 107-ე წუთზე მოხდა, როდესაც ის „შავ-წითლების“ საჯარიმოში შევარდა, ჯერ ჩეზარე მალდინი მოატყუა, შემდეგ ზედ დააყოლა მეკარე ნარჩიზო სოლდანა და „რეალს“ მორიგი თასი აღამართინა.

და მაინც, თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის, რით იყო ფრანსისკო ხენტოს ფეხბურთი გამორჩეული?

უპირველეს ყოვლისა, როგორც მოგახსენეთ, სიჩქარით. მერე, მას და დი სტეფანოს დიდებულად ჰქონდათ აწყობილი: პასი იქით, კედელი აქეთ და ეს ყველაფერი არანორმალური სისწრაფით. დედიმისის შვილი იყო ნებისმიერი მეტოქე და ამისთვის გაეძლო. ჰლუს ქუსლურები. ქუსლით შორიდანაც კი არტყამდა. ძლიერად არტყამდა მარცხენათიც, მაგრამ მარჯვენათი... მარჯვენა ხენტოს მხოლოდ ნაბიჯის გადასადგმელად სჭირდებოდა, ბურთს კი მის მარჯვენა ფეხთან ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა.

1964 წელს, დი სტეფანოს წასვლის შემდეგ, კაპიტნის სამკლავური მადრიდელებმა ფრანსისკო ხენტოს გადასცეს, ხოლო 1966 წელს, „რეალმა“ მეექვსედ მოიგო ჩემპიონთა თასი... ანუ ხენტომ მეექვსედ მოიგო ჩემპიონთა თასი.

... ფრანსისკო ხენტომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჯილდოების დიდი კოლექცია მოაგროვა, მაგრამ რაც ძალიან დააკლდა, მსოფლიოს ჩემპიონობა იყო. ეს, ფეხბურთელთა უმთავრესი თასი მას ხელში არასდროს სჭერია.

შანსი კი ორჯერ ჰქონდა. მაგალითად, ერთხელ 1962 წელს, როდესაც ესპანეთმა ჩილეში ძლიერი ნაკრები წაიყვანა. ასე განსაჯეთ, ესპანელების შემადგენლობა ძლიერი იყო იმის მიუხედავად, რომ შეჯიბრებამდე ცოტა ხნით ადრე დი სტეფანო დაშავდა და გამოაკლდა, მაგრამ... ბედმა აიღო დ ესპანეთის ეროვნული გუნდი პირდაპირ (ასეთი ხომ ყველა ჩემპიონატზეა) „სიკვდილის ჯგუფში“, ბრაზილიასა და ჩეხეთთან ჩასვა. ამავე ჯგუფში იყო მექსიკაც, რომელსაც ესპანელებმა 1:0 მოუგეს.

მექსიკასთან მატჩში გოლი კარგა ხანს არ გადიოდა, მაგრამ აი, დადგა წუთი, როდესაც ხენტომ თავის კართან მიიღო ბურთი და მოწინააღმდეგის კარისკენ თავი დაადო. გზად მარცხენა გარემარბმა პეირო დაინახა და პასი მას გადააწოდა — ასე გავიდა ჩემპიონატის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი, სხვათა შორის, ლეგენდარული ანტონიო კარბახალის კარში.

შემდეგ კი ისე მოხდა, რომ ბოლო ტურში, უპელეოდ დარჩენილი ბრაზილიის დამარცხება ესპანელების მეოთხედფინალში გასვლას ნიშნავდა. და ესპანელებმა იმ მატჩში იფრინეს, თავს აჯობეს, აჯობეს — როგორც ბევრი თვითმხილველი ამბობს და იგონებს — მსოფლიოს ჩემპიონებსაც, მაგრამ ჩილელმა მსაჯმა ბუსტამანტემ ადელარდოს, რომელსაც ამ მატჩში ერთი გოლი უკვე გატანილი ჰქონდა, მეორე აღარ ჩაუთვალა... შემდეგ, ესპანელების სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა... შემდეგ პუშკაშის მაკრატელა გოლიც არ ჩათვალა... ხოლო დანარჩენ ეპიზოდებში ბრაზილიელიელების მეკარე ჟილმარი დაფრინავდა. მატჩი საბოლოოდ 2:1 დასრულდა ბრაზილიელთა სასარგებლოდ. როგორც ზემოხსენებული თვითმხილველები ამბობენ და იგონებენ, ბოლოს ესპანელებს არაქათი აღარ ჰქონდათ.

ხენტო მაშინ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. მიაქციეთ ყურადღება, გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა, ფეხბურთელი კი სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

1966 წელს ინგლისში ესპანეთი სუსტი იყო. ხენტო მაშინდელ ესპანელ ახალგაზრდებში. ბიძად ჩანდა. ღიპი ჰქონდა, სისწრაფე აკლდა.

ხოლო მანამდე, 1964 წელს, თუ გახსოვთ, ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ხენტო დაშავებული იყო და არ უთამაშია.

ის ფეხბურთიდან 1971 წელს, 21 მაისს გააცილეს. ეს გახლდათ თასების მფლობელთა თასის ფინალის, „რეალი“ — „ჩელსის“ გადათამაშება. იმ დღეს „ჩელსიმ“ 2:1 მოიგო, მაგრამ ოვაცია ჩვენი წერილის გმირს შეხვდა. მიზეზი, „ჩელსი“ ისტორიას აგრძელებდა, კანტაბრიელი სოფლის ბიჭი კი, ვაგლახ...

პაპუნა კედია

ალფრედო დი სტეფანო და ფრანსისკო ხენტო

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
24.00	053	კრისტალ პალასი-სანდერლენდი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46

ინგლისი. კონფერენსი. XXXVIII ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	105	ნორთვიჩი-ტელფორდი	3,0	3,3	2,0	1,57	1,2	1,24

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXII ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	120	სელტიკი-აბერდინი	1,17	5,6	9,0	1	1,03	3,45

იტალია. სერია A. XXVI ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	006	ლაციო-რომა	2,8	3,0	2,45	1,44	1,3	1,34

შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩი

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	337	შო დე ფონი-ანიო	3,1	3,1	2,1	1,55	1,25	1,25

შვედეთი. ალსვენსკა. IV ტური

22 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	365	იორგრიტე-აიკ	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49

ირლანდია. პრემიერლიგა. VIII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 აპრილი						
23.45	402	დუბლინი-ბოჰემიანი	6,0	3,5	1,5	2,21	1,2	1,04
		23 აპრილი						
23.30	403	უოტერფორდი-შელბურნი	3,5	3,2	1,9	1,67	1,23	1,19
23.45	404	კორკი-დროგედა	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
23.45	405	სტ.პატრიკსი-შემროკი	2,35	3,1	2,7	1,33	1,25	1,44
		24 აპრილი						
23.30	406	ლონგფორდი-დერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81

თურქეთი. სუპერლიგა. XXIX ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	418	სამსუნი-კონია	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73

ხორვატია. 1.HNL. XXVII ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	476	რიეკა-ზადარი	1,4	3,8	6,0	1,02	1,13	2,32
21.00	480	ოსიეკი-დინამო	4,2	3,2	1,75	1,81	1,23	1,13
21.00	481	ვარტექსი-ჰაიდუკი	4,2	3,2	1,75	1,81	1,23	1,13

უნგრეთი. NB1. XXV ტური

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	506	ფერენცვაროში-ბალატონი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.00	507	დებრეცენი-მტკ	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
22.00	508	უიპეშტი-სოპრონი	1,65	3,3	4,6	1,1	1,21	1,92
22.00	509	პეჩი-პალადაში	1,55	3,4	4,4	1,06	1,14	1,91
22.00	510	ეტო-ბეკეშჩაბა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
22.00	511	ზალაეგერსეგი-ვიდეოტონი	1,95	2,9	3,8	1,16	1,28	1,64

ბრაზილია. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 აპრილი						
24.00	513	ბოტაფოგო-გოიასი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
24.00	514	ფიგეირენსე-ინტერნასიონალი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
24.00	515	სან კაეტანო-ბაია	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
02.00	516	პალმეირასი-ატლეტიკო მნ	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
02.00	517	კრუზეირო-ჟუვენტუდი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
05.45	518	პონტე პრეტა-კორინთიანსი	2,0	3,0	3,5	1,2	1,27	1,61
05.45	519	პარანა-სანტოსი	2,7	3,1	2,35	1,44	1,25	1,33
05.45	520	გრემიო-ფლამენგო	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
		22 აპრილი						
04.30	521	კურიტიბა-გუარანი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
04.30	522	პაისანდუ-ფლუმინენსე	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
04.30	523	სან პაულუ-ატლეტიკო პრ	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
04.30	524	ვასკუ და გამა-კრიკიუმა	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95

ავსტრია. თასი. 1/4 ფინალი

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	609	რაპიდი-გრაცერი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43

დანია. თასი. 1/4 ფინალი

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	610	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
22.00	611	ბრიონდბიუ-ოლბორგი	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05

ჩემპიონთა ლიგა.
1/2 ფინალი. I მატჩები

21 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	002	პორტუ-დეპორტივო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55

უეფას თასი
1/2 ფინალი. I მატჩები

22 აპრილი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.45	003	ნიუკასლი-მარსელი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
01.00	004	ვილიარეალი-ვალენსია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39

შემდეგ ეტაპზე გასვლა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 აპრილი						
23.45	002	პორტუ-დეპორტივო		2,1				1,55
		22 აპრილი						
23.45	003	ნიუკასლი-მარსელი		1,55				2,1
01.00	004	ვილიარეალი-ვალენსია		2,6				1,35

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5102	პორტუ-დეპორტივო	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,6
5103	ნიუკასლი-მარსელი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,5

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5104	ვილიარეალი-ვალენსია	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5106	ლაციო-რომა	4,2	10,0	20,0	4,8	4,4	4,4	20,0	10,0	3,6

ჩემპიონები და თასის აღება

9004 ესპანეთი (24.04)	9005 საფრანგეთი (24.04)	9008 ავსტრია (24.04)	9009 დანია (24.04)	9010 საბერძნეთი (24.04)	9027 უეფას თასი (22.04)
რეალი 1,55	მონაკო 2,1	აუსტრია 1,3	ბრიონდბიუ 2,1		ვალენსია 2,0
ვალენსია 1,8	ლიონი 1,45	გრაცერი 2,8	კოპენჰაგენი 3,0	პანათინაიკოსი 1,4	ნიუკასლი 2,5
ბარსელონა 10,0	პსჟ 3,5	რაპიდი 40,0	ესბიერგი 2,1	ოლიმპიაკოსი 2,1	მარსელი 4,2
დეპორტივო 50,0					ვილარეალი 5,6

I ტაიმის შედეგი

5002	პორტუ-დეპორტივო	2,7	2,05	3,6	1,16	1,54	1,3
5003	ნიუკასლი-მარსელი	2,3	2,1	4,6	1,09	1,53	1,44
5004	ვილიარეალი-ვალენსია	3,2	2,05	3,1	1,24	1,57	1,23
5006	ლაციო-რომა	3,5	2,0	2,8	1,27	1,55	1,16

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5202	პორტუ-დეპორტივო	1,65	1,95
5203	ნიუკასლი-მარსელი	1,65	1,95
5204	ვილიარეალი-ვალენსია	1,65	1,95
5206	ლაციო-რომა	1,8	1,8

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5302	პორტუ-დეპორტივო	1,65	1,95
5303	ნიუკასლი-მარსელი	1,65	1,95
5304	ვილიარეალი-ვალენსია	1,65	1,95
5306	ლაციო-რომა	1,55	2,1

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5402	პორტუ-დეპორტივო	1,8	2,0
5403	ნიუკასლი-მარსელი	1,6	2,4
5404	ვილიარეალი-ვალენსია	1,9	1,9
5406	ლაციო-რომა	1,95	1,85

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5502	პორტუ-დეპორტივო	3,0	2,8	2,0
5503	ნიუკასლი-მარსელი	3,0	2,8	2,0
5504	ვილიარეალი-ვალენსია	3,0	2,8	2,0
5506	ლაციო-რომა	3,0	2,8	2,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ფორმულა 1. სან მარინო. 25 აპრილი

8001 გამარჯვებული		სამეული		ექვსეული		8002 უსწრ. წრე
მ.შუმახერი	1,5	8101	1,1	8201	1,05	1,7
მონტოია	5,0	8102	1,6	8202	1,2	3,3
რ.შუმახერი	8,0	8103	2,1	8203	1,25	5,0
რაიკონენი	12,0	8104	2,3	8204	1,3	8,0
ბარიკელო	5,0	8105	1,9	8205	1,2	3,0
ალონსო	12,0	8106	2,3	8206	1,3	8,0
კულტჰარდი	25,0	8107	3,8	8207	1,5	12,0
ტრული	25,0	8108	4,2	8208	1,5	15,0
ბატონი	15,0	8109	3,5	8209	1,5	10,0
სატო	50,0	8110	10,0	8210	2,0	35,0
პანისი	100,0	8111	20,0	8211	3,0	75,0
უებერი	75,0	8112	15,0	8212	2,0	50,0
და მატა	150,0	8113	30,0	8213	5,0	75,0
ფიზიკელა	150,0	8114	30,0	8214	5,0	75,0
ჰაიდფელდი	150,0	8115	30,0	8215	5,0	75,0
მასა	150,0	8116	30,0	8216	5,0	75,0
კლიენი	150,0	8117	30,0	8217	5,0	100,0
პანტანო	250,0	8118	50,0	8218	6,0	100,0
ბრუნი	300,0	8119	75,0	8219	10,0	100,0
ბაუმგარტნერი	300,0	8120	75,0	8220	10,0	100,0

8301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	1,15
უილიამსი	3,0
მაკლარენი	8,1
რენო	8,1
ბარ	11,5
ტოიოტა	60,0
იაგუარი	50,0
ზაუბერი	75,0
ჯორდანი	93,0
მინარდი	150,0

ზურაბ დოლიძაშვილის ფოტო

ვითამაშოთ გუნდურად

თემურ ბენდიაშვილი:

მთავარია აზრი, ფულს ყოველთვის ვიშოვით

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცი თემურ ბენდიაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ქართულ რაგბიში თავისი სიტყვა ეთქმის. იგი მწვავე საკითხებზე საუბარს არასოდეს გაურბოდა და ასეა დღესაც – თემურ ბენდიაშვილი ჯვლავ გულწრფელად და გაბედულად გვიზიარებს თავის აზრს ქართულ რაგბიში არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებზე

— თქვენ სულ რაგბის კავშირის ოპოზიციაში იყავით, რატომ?

— ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების გამოსვლაში არც ქართული რაგბის აქამდე დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ჩანდა და არც თამაშის ხარისხი ვარგოდა. ამას გარდა, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ბავშვთა რაგბის პოპულარიზაციასა და განვითარებას.

— მაშინ ამდენი გამარჯვება საიდან მოდიოდა, მაინც რაღაცა ხომ გაკეთდა?

— გაკეთდა, როგორ არა, თუმცა უკეთესადაც შეიძლებოდა. 1999 წელს მსოფლიოს თასზე უპირობოდ უნდა გვეთამაშა. ავსტრალიაშიც ძალიან უსუსურად გამოვიყურებოდით.

— მსოფლიოს თასზე რომ ვითამაშეთ, ამით რეიტინგიც ხომ აგვიმაღლდა მსოფლიოს გრანდების თვალში?

— ჩემი აზრით, არ აგვიმაღლდა... მეთექვსმეტე პოზიციაზე ურყევად დგას რუმინეთი. ოთხმოციან წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრები მეჩვიდმეტე იყო. რუსეთში კი რაგბი ამ ბოლო წლებში შესამჩნევად დაკნინდა, რადგან მოსკოვი და პეტერბურგი აღარ არის სარაგბო ცენტრები. თუმცა ამ ბოლო დროს რუსებმა რაგბიში დიდი თანხები ჩადეს და ძალიან მალე მათი სიძლიერე ისევ გამოჩნდება. ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში რუმინეთის მომდევნო პოზიციაზე კი ვიდექით, მაგრამ ახლა ნელნელა უკან ვიხევთ.

— როგორ ფიქრობთ, რა გააკეთა ცხრა წლის განმავლობაში რაგბის კავშირის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ჩვენი რაგბის განვითარებისთვის და რა დარჩა გასაკეთებელი?

— სულ არაფერი გაკეთებულაო, ვერ ვიტყვით, რაღაც უდავოდ გაკეთდა, ძირითადად ის, რომ ვარსებობთ და არ დავიშალეთ.

— იყო დაშლის საშიშროება?

— კი, ძალიან დიდი. სხვა სახეობების მსგავსად, ენთუზიაზმით და რამდენიმე პიროვნების ძალისხმევით შევძელით რაგბის შენარჩუნება.

— ვინ არიან ეს პიროვნებები?

— მწვრთნელები, რომლებიც უხელფასოდ მუშაობდნენ.

— კი მაგრამ, ხელფასი ხომ თქვენ კლუბმა უნდა გადაგიხადოთ?

— მართალი ბრძანდებით, ხელფასი ჩვენთვის კავშირს არ უნდა გადაეხადა. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენს კლუბებს არასოდეს ულხინდათ, მეორეცაა და კავშირი ბოლომდე იმასაც ვერ ასრულებდა, რაც მისი უშუალო მოვალეობა იყო. კონკრეტულად კი კავშირმა მსაჯები უნდა მოამზადოს, კლუბებს მოედნების პრობლემა უნდა მოუხსნას და, საერთოდაც, რაგბის განვითარებაზე იზრუნოს.

— მერე ხომ ამზადებდა მსაჯებს და გუნდებს მოედნებითაც უზრუნველყოფდა?

— გოჩა აბაშიძის გარდა არავის უფიქრია მსაჯებზე, კვალიფიკაციასა და შემოქმედებით მუშაობაზე. თავშიც არ მოსვლიათ აზრი, რამე გაეკეთებინათ.

— აბა, რაზე ფიქრობდნენ?

— არ ვიცი.

— ამ სიტუაციიდან ახალი კავშირი როგორ გამოვა?

— ჯერ უნდა დავიწყოთ შემოქმედებითი მუშაობა, რაც ცოდნა-გამოცდილება გვაქვს, ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ, ჩამოვიყვანოთ უცხოეთიდან სპეციალისტები, რომლებიც სემინარებს ჩაგვიტარებენ. შემდეგ ჩვენი გეგმა უნდა შევიმუშავოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიდეთ. რაგბი შევიტანოთ საქართველოს ყველა რეგიონში და დავიწყოთ მასობრივი მუშაობა ბავშვებთან.

— რაც შეეხება დაფინანსებას, გჯერათ, რომ გადაწყდება ეს პრობლემა?

— რა თქმა უნდა, გადაწყდება და ახალი ხელმძღვანელობა იზრუნებს როგორც ბავშვთა, ასევე მოზარდთა და ეროვნულ ნაკრებებზე, მე ამისი მჯერა და დიდი იმედიც მაქვს. რაც მთავარია, სისტემა უნდა გვქონდეს ჩამოყალიბებული, აზრი უნდა იყოს ჩადებული და ფულს ყოველთვის ვიშოვით.

— ასეთი აღვილია თანხის შოვნა? წინა კავშირის ხელმძღვანელობა ამას ასე არ თვლიდა...

— მე ასე მგონია, თუ ყველაფერი გაკეთდა და მარტო ფულია საჭირო, იშოვი, თან ქვეყანაში საიმედო ძვრებიცაა. ყველაფერი პარალელურად უნდა გაკეთდეს. არ შეიძლება, მხოლოდ ერთ მხარეს მიექცეს ყურადღება. უნდა შეიქმნას ჯგუფები, რომლებიც ცალკე ნაკრებს მიხედავენ, ცალკე — ბავშვებს, ცალკე — საკლუბო ჩემპიონატს. სახელმწიფომ მაგაზე კარგი რა უნდა გააკეთოს, რომ მომავალ თაობაში ფული ჩადოს?

— მორაგბეებს ყველაფერთან ერთად ინვენტარიც არა აქვთ და ეს ვის პრეროგატივაში შედის?

— ინვენტარი ფაქტობრივად საოცნებოდ გვაქვს, თუმცა მჯერა, დროთა განმავლობაში ამასაც მოევლება.

— ნუთუ კავშირში დახმარებების სახით სათამაშო ბურთები და ფორმები არ ჩამოდიოდა?

— 9 წლის განმავლობაში სულ ერთხელ მოგვცეს ფორმა, მარტო მაისურები, ისიც ახალზელანდიელებმა გამოაგზავნეს, და 5 ბურთი.

— თქვენი აზრით, რამდენ ხანში იქნება პროგრესი?

— პროგრესს ამ სეზონშივე ვგრძნობ.

— რაც შეეხება თასს და ჩემპიონატს, კეთდება რამე მისი დონეს ასამაღლებლად?

— ჩვენ გვჭირდება მოედნები და მოუგრძელებელი მსაჯები. ორივე ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებშია. დარწმუნებული ვარ, ახალი გუნდი, რომელსაც უაღრესად პატიოსანი ადამიანი ხელმძღვანელობს, ამ პრობლემას გადაჭრის.

— გეგიძე ვერ აგვარებდა ამ საქმეს?

— ვერა და არც ფიქრობდა.

— ის ხომ რაგბის კავშირის პრეზიდენტი იყო, როგორ შეიძლება არ ეფიქრა...

— ვერ გეტყვით, ის რაზე ფიქრობდა, მაგრამ რაც ჩანდა, დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ იყო. ძალიან დიდი ხარვეზები იყო ყველაფერში.

— „ლოკომოტივთან" დაკავშირებით ხომ არ გრძნობდით უყურადღებობას?

— ვგრძნობდით იგნორირებას, როგორც ჩვენი მოთამაშეების, ასევე მთლიანად კლუბისადმი.

— რა განწყობით იწყებს თქვენი გუნდი სეზონს?

— გამოცდილი ბიჭები მყავს „ლოკომოტივში", რაგბის შესაფერისი ხასიათი აქვთ და ატმოსფეროც მეგობრულია. თუ რამეს ვერ ვაკეთებთ ისე, როგორც გვინდა, ვცდილობთ, დავხვეწოთ, ერთმანეთისგან ვისწავლოთ ყველაფერი, რისი სწავლაც შეიძლება და ერთობლივად ავიმაღლოთ დონე.

— თქვენი გუნდი ისეთივე ძალისმიერი სტილით ითამაშებს?

— არ ხართ სწორი. ჩვენ უფრო ტაქტიკურ და გააზრებულ რაგბის ვთამაშობთ.

— ისე, ბევრი მოჩხუბარიც გყავთ გუნდში. ამბობენ, „ლოკომოტივის" თითქმის ყველა მატჩში ჩხუბიაო, რატომ?

— არ არის ასე, თუმცა თუ ჩხუბი „აიწევა", უნდა იჩხუბონ, აბა, რა უნდა ქნან? რაგბი კონტაქტური თამაშია, რომელიც ხასიათის სიმტკიცეს და ვაჟკაცობას მოითხოვს. თუ დავთრგუნა მოწინააღმდეგემ, წასულია შენი საქმე, ამიტომ ყველას, როგორც თანასწორს ისე უნდა ეთამაშო. თუ ჩხუბობს ვინმე, მტკიცედ უნდა დაუდგე.

— ბოლოს, პირველ რიგში რაზე გაამახვილებთ ყურადღებას ახალი კავშირის მუშაობაში?

— იმაზე, რომ გუნდური თამაშის პრინციპი რომ არ დაირღვეს. რადგან როგორც გუნდშია მთავარი თანადგომა, ერთგულება და პატიოსნება, ასევა ყველგან, სადაც საერთო საქმე კეთდება.

ნინო ლეჟავა

ქართული ცეცხლი რუსულ წყალში

რაკი საქართველოში „ლაგუნა ვერეს" გარდა წყალბურთელთა გუნდი აღარ არსებობს და, აქედან გამომდინარე, აღარც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატები ტარდება, ამ სახეობის მიმდევარი ჭაბუკი ქართველები ხან რუსეთის პირველობებში გამოდიან, ხან უკრაინისაში. უცნაური კი ისაა, რომ ჩვენები ერთგანაც და მეორეგანაც თავისზე უფროსებს ეპაექრებიან და წარმატებებსაც საკმაოდ ხშირად აღწევენ

ასე იყო გუშინწინ მოსკოვში გასრულებულ რუსეთის ჭაბუკთა პირველობაზეც, რომელიც 1985-86 წლებში დაბადებული წყალბურთელებისთვის ჩატარდა. ამ შეჯიბრებაში „ლაგუნა ვერეს" წევრები მათზე ერთი-ორი წლით უფროსებს ეპაექრებოდნენ, ერთი მეორის მიყოლებით ამარცხებდნენ და ბოლოს პირველობაც დაისაკუთრეს.

ამ გამარჯვებისთვის რუსთა გუნდების რბევა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა I და II ტურის შეხვედრები გაიმართა. ახლა III ტურის მატჩებში პლეი ოფში გასასვლელად ქართველებმა რუსებს მოსკოვის აუზში ნამდვილი ცეცხლი შეუნთეს, იოლად სძლიეს რუსეთის „ბურევესტნიკს" (8:1), ასტრახანის გუნდს (13:4) და მოსკოვის „დინამოს", ტურნირის ფავორიტად მიჩნეულ ვოლგოგრადის „ლუკოილ-სპარტაკთან" კი ფრედ ითამაშეს — 4:4.

ჩვენმა ბიჭებმა ერთადერთი შეხვედრა დათმეს და ისიც, ალბათ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როცა ცსკა-სთან მინიმალური ანგარიშით (5:6) წააგეს, რათა შემდგომ პლეი ოფში „ლუკოილ-სპარტაკს" არიდებოდნენ და კვლავ არმიელებს დაპირისპირებოდნენ.

ასეც მოხდა და ცსკა-ს მეორე შეხვედრაში სძლიეს (7:6). ამის მერე, ცხადია, „ლუკოილ-სპარტაკს" ვეღარ ასცდნენ და მათთან ფინალური ბრძოლა მოუხდათ. თუმცა, „ლაგუნა ვერეს" გუნდმა კვლავ გაიმარჯვა და პირველობაც მოიგო.

ახლა კი გაგაცნობთ სოსო მაისურაძის გუნდის წევრებს, რომლებიც რუსეთის პირველობაში გამოდიოდნენ. ესენი არიან: დავით ქაჯაია, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, დავით ბიბილეიშვილი, ილია ბუტიკაშვილი, გიორგი ცირეკიძე, ზურაბ რურუა, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გივი კილურაძე, თორნიკე თოდაძე, თამაზ მანჭულაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე და მიხეილ ბაღათურია.

ეს ბიჭები იმედითა და იმავდროულად უიმედოდ ელიან მაისის დადგომას, როცა სოფიაში ევროპის ჭაბუკ წყალბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უნდა დაიწყოს. მათ იქ ბრძოლებისა ეიმედებათ, მაგრამ სოფიაში გამგზავრება სათუო გამხდარა.

საქმე ისაა, რომ გუნდს იქ გასამგზავრებელი 40 ათასი ლარი არა აქვს და ჯერჯერობით არც მისი შოვნის პერსპექტივა ჩანს. წარმატების შემთხვევაში მათ კიდევ ამდენი თანხის მოძიება მოუწევთ, რათა ფინალურ ეტაპზე ასპარეზობა შეძლონ.

ავთანდილ ჭყვიშელი

ჩემპიონმა ოქრო ვერ აჰკრა

გუშინ კიევში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. პირველ დღეს სიმძიმე მხოლოდ 56 კილოგრამამდე ათლეტებმა ასწიეს. ამ წონაში საქართველოს ნაკრების სახელით ზვიად სამუკაშვილი და პაატა მოდებაძე გამოდიოდნენ, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ვერც ერთმა ვერ გააღწია.

ატაცში ყველას ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა, ბელარუსმა ვიტალი დერბენიოვმა აჯობა. 127,5 კილოგრამი ასწია და მცირე ოქროს მედალს დაეუფლა, თუმც აკვრაში ეს უპირატესობა მეორეადგილოსან თურქთან ვეღარ შეინარჩუნა. მასაც და არტუკსაც 280 კილოგრამი დაუგროვდათ და უკეთესი პირადი წონით ჩემპიონი თურქი გახდა.

ბრინჯაოს მომგები უნგრელი ლასლო ტანჩიჩი პირველ-მეორე ადგილოსნებს ათი კილოგრამით ჩამორჩა.

დღეს არენაზე 62 კილოგრამიანი ათლეტები გავლენ, მათ შორის თემურ ლომთაძე და ზაზა აბულაძე.

ოთარ მაღლაკელიძე

ყველას სკამი როდი უნდა

ცქიტიშვილს თბილისში მოეჩქარება

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩისთვის „დენვერის“ მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა დაშავებულთა სიიდან მოულოდნელად ნიკა ცქიტიშვილს უხმო, ქართველმა ფორვარდმაც თავი არ შეირცხვინა და სანანტონიოელებს 23 წუთში კარიერაში უმეტესი 10 ბურთი მოუხსნა. გაჩნდა იმედი, ცქიტიშვილი პირველი მეპლეიოფე ქართველი გამხდარიყო, თუმც თავად ნიკამ თურმე წინდანინ იცოდა, რომ მისი განაცხადში შეყვანა დროებითი მოვლენა იყო და პლეი ოფში ისევ ტრიბუნაზე მოუწევდა გადაჯდომა. ბზდელიკი რომ უსამართლოდ მექცევა, თავადაც ხვდება, დაშავებულთა სიაში დაბრუნების ამბავი პირში ვერ მითხრა, ჩემს მენეჯერს გააგებინა...

— კარგა ხნის უთამაშებელი მოულოდნელად „სან ანტონიოსთან“ გამოჩნდი და საკმაოდ კარგადაც ითამაშე...

— მერე მაგით რა ხეირი, მეორე დღეს ისევ დაშავებულთა სიაში დამაბრუნეს. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩი იყო, პლეი ოფში გასვლა განაღდებული გვქონდა და ჯეფ ბზდელიკმაც დაშავებულთა სიის ყველა მოთამაშე განაცხადში შეგვიყვანა. ძირითადების დასვენება უნდოდა.

— იმით მაინც ხომ ხარ კმაყოფილი, რომ სწორედ ამ მატჩში მოაგროვე კარიერაში სარეკორდო 10 მოხსნა?

— რა თქმა უნდა, ასე შედეგიანად ფარქვეშ ჯერ არ მითამაშია. საკმაოდ აგრესიული ვიყავი, სროლები კი არ წამივიდა, 23 წუთში მხოლოდ 6 ქულა მოვაგროვე.

— მწვრთნელის მიმართ დაგროვილი ბოღმა ალბათ მოედანზე აგრესიული გარჯით გამოხატე...

— ალბათ ეგრეც იყო, ბზდელიკზე ისე ვარ გაბრაზებული, მეტი რომ არ შეიძლება. მან ერთი სეზონი დამაკარგვინა. თავადაც იცის, რომ არასწორად მექცევა. საპლეიოფო განაცხადში რომ არ შემიყვანა, გუნდის შეკრებაზე კი არ მითხრა, ჩემს მენეჯერ მარკ ფლეიშერს დაურეკა, „სკიტას“ უთხარი, დაშავებულთა სიაში დავაბრუნეო.

— „სან ანტონიოსთან“ თამაშის შემდეგ იმედი არ მოგეცა, რომ პლეი ოფშიც დაგვტოვებდა განაცხადში?

— არავის უთქვამს, ერთი თამაშით გაბრუნებთ განაცხადშიო, მაგრამ რა მიხვედრა უნდოდა იმას, რომ პლეი ოფში არ მათამაშებდნენ. მთელი სეზონი არ მენდობოდა ბზდელიკი და ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში გამიყვანდა მოედანზე?! მერე სკამზე ჯდომას ტრიბუნაზე ყოფნა მირჩევნია.

— და მაინც, თუმცა არ გათამაშებენ, პლეი ოფში გასვლა ალბათ გაგახარებდა...

— რა თქმა უნდა, ძალიან გამეხარდა, პრემიალური თანხაც მივიღეთ. დიდი ზარზეიმი არ აგვიტეხავს, „საკრამენტოს“ დამარცხებით პლეი ოფი რომ გავინაღდეთ, იმ საღამოს ბარში წავედით ხუთიოდ დენვერელი და თითო ჭიქა შამპანიური ავწიეთ.

— ახლა რითი ხარ დაკავებული, რომ არ თამაშობ?

— გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და „დენვერს“ ტრიბუნიდან ვქომაგობ. ერთი სული მაქვს, როდის დამთავრდება სეზონი, რომ თბილისში ჩამოვიდე. „დენვერი“ გამოვარდება თუ არა პლეი ოფიდან, ბარგს ვალაგებ და მოვდივარ.

— ეგებ ჯერ არ ვარდება, ნუთუ ეგრე უიმედოდ ხართ?

— არა, პირიქით, თუ პლეი ოფში გახვედი, ნიშნავს, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგიძლია. თან ჩვენი მეტოქე „მინესოტა“ შვიდი წელია, პირველივე რაუნდიდან ვარდება. პირველ მატჩში კი დავმარცხდით, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ ბოლომდე ბრძოლა შეგვიძლია. ერთხანს 22 ქულას ვაგებდით და ბოლო მეოთხედში ხუთამდე შევამცირეთ სხვაობა. სემ კასელმა თავი გაიგიჟა, გარნეტი ხომ ისედაც სულ გიჟობს. ვნახოთ, თუ ამ ტანდემის გაჩერებას მოვახერხებთ, ეგებ პატარა სასწაულიც მოვახდინოთ.

— პლეი ოფში გასვლით ჯეფ ბზდელიკმა ალბათ სამომავალსეზონოდაც შეინარჩუნა მთავარი მწვრთნელის პოსტი. შენ ალბათ არ აპირებ მასთან მუშაობას.

— ადრეც მითქვამს, რომ „დენვერიდან“ წასვლა გადაწყვეტილი მაქვს, ეგაა, რამდენად ხელსაყრელ ვარიანტს გამოვძებნი და დენვერელები თუ დამომობენ...

— რატომ არ უნდა დაგთმონ, არაფერში გიყენებენ...

— ახლა ჰო, მაგრამ მცირე ასაკის გამო მომავლისთვის მინახავენ. როგორც „დენვერის“ გენმენეჯერ კიკი ვანდერვეისთან დაახლოებულმა კაცმა მითხრა, სხვაგან გაშვებას არ მიპირებენ, მაგრამ თუ კარგი ვარიანტი გამომიჩნდა, ვნახოთ, როგორ არ გამიშვებენ.

— აქედანვე ხომ არ უმიზნებ რომელიმე გუნდს?

— არა, ტრანსფერებისთვის ჯერ არავის სცხელა. ყველაფერი ალბათ ზაფხულში გაირკვევა, თუ ისეთი გუნდი გამოვნახე, რომელში გადასვლითაც „დენვერიც“ იხეირებს, გამიშვებენ, თუ არადა, თავს ზემოთ ძალა არაა, უნდა დავრჩე.

— ეროვნულ ნაკრებში ჩამოსვლის პრობლემა საბოლოოდ გადაჭერი?

— საბოლოოდ. ნაკრებს იტალიაშიც გავყვები და საკვალიფიკაციო მატჩებსაც ხომ, ცხადია, ვითამაშებ.

ირაკლი პერტაია

ბიძინამ თქვა, სახლში ვზივარ...

როგორ არის ბიძინა გუჯაბიძე ერთდროულად ტიბეტშიც და თბილისშიც

რუსული ინტერნეტ გვერდები იუწყებიან, რომ თბილისელი მთამსვლელი ბიძინა გუჯაბიძე ევერესტის ფერდობებზეა და მესამედ ცდილობს მასზე ასვლას. მათი ცნობით გუჯაბიძე მოსკოველი, ტოლიატელი, სოჭელი, კრასნოიარსკელი, ნოვოკუზნეცკელი, პოდოლსკელი, ეკატერინბურგელი, როსტოველი, ნოვოსიბირსკელი და კიროველი საუკეთესო მთამსვლელებით დაკომპლექტებული ოცკაციანი გუნდის წევრებთან ერთად დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე მანამდე უვალი, ურთულესი ჩრდილოეთის გზით ადის



ევერესტი. მარცხნივ პირველი სამი გზა ჩრდილოეთის მარშრუტებია, მარჯვნივ ასევე პირველი სამი — სამხრეთისა, ხოლო შუაში — სამხრეთ-დასავლეთის

და ამ დროს ბიძინა გუჯაბიძე ევერესტის ყველაზე რთულ ფერდობებზე სტიქიას კი არ ებრძვის... თბილისშია და შინ საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად ყურებჩამოყრილი ზის.

— მეც იქ უნდა ვყოფილიყავი თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, რუსებმა მიმიწვიეს, მეც დავთანხმდი, მაგრამ მათთან ერთად საკუთარი სახსრებით უნდა წავსულიყავი. მივდექი, მოვდექი, თითქოს ყველაფერი მოვაგვარე, იმედებით ამავსეს და ექსპედიციის გამგზავრებამდე სამი-ოთხი დღით ადრე სპონსორობაზე მოულოდნელად უარი მითხრეს — გვითხრა გულმოკლულმა ბიძინა გუჯაბიძემ, ბოლოს კი იხუმრა, ახლა ერთდროულად ტიბეტშიც ვარ და აქაც.

არადა, მეტად სამწუხარო კია, რადგანაც საქართველოს წარმომადგენელს აკაკი ხერგიანის მიერ გამოუყენებელი შანსის მერე მეორედ მიეცა შესაძლებლობა არა მხოლოდ ევერესტზე, საერთოდ რვაათასიან მწვერვალზე მანამდე უვალი, ურთულესი გზით ასვლისა, რის გაკეთებასაც ჩვენები აქამდე მხოლოდ მრავალგზის გაკვალული, კლასიკური მარშრუტებით ახერხებდნენ.

შეგახსენებთ, რომ აკაკი ხერგიანი იყო ევერესტზე პირველი საბჭოთა ექსპედიციის მონაწილე, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე სამხრეთ-დასავლეთის ველით მანამდე უვალი გზით ავიდა, რაც დღემდე ურთულეს ან ერთ-ერთ ურთულეს მარშრუტად ითვლება.

სამწუხაროდ, მაშინ ექსპედიციის მეთაურის გადაწყვეტილებით აკაკი ხერგიანს 7800 მეტრზე ზემოთ ასვლის შესაძლებლობა არ მიეცა. ის ასვლა და 1989 წელს განხორციელებული რვაათასიანი ხუთთავა კანჩენჯანღას ტრავერსი საბჭოთა მთამსვლელებისა თუ მათი მემკვიდრეებისთვის ჰიმალაიზე დღემდე უდიდეს ალპინისტურ მიღწევად ითვლება.

ეს ლაშქრობები ჰიმალაის მთებში დღემდე ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება საერთოდ დანარჩენი მსოფლიოსთვისაც.

ახლანდელი ექსპედიციის წარმატების შემთხვევაში ეს ასვლა ყოფილი საბჭოელებისთვის მესამე უდიდესი ჰიმალაური მოვლენა იქნება.

წლევანდელი ლაშქრობისთვის რუსეთის მთამსვლელები ზამთარზაფხულ დიდხანს და დიდი გულმოდგინებით ემზადებოდნენ. ბოლოს, თებერვლის მიწურულს, რუსეთის მასშტაბებისთვისაც კი ეს უდიდესი ექსპედიცია ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში ჩაფრინდა, იქიდან კი დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფელ ლუკლაში აფრინდა. ლუკლადან ექსპედიციის წევრები სააკლიმატიზაციოდ ევერესტს სამხრეთიდან ძალზე მიუახლოვდნენ და იქვე აღმართულ ულამაზეს მწვერვალ ამა დაბლამზე (6912მ) მარტის შუა რიცხვებში კლასიკური მარშრუტით ორ ჯგუფად ავიდნენ. ამის მერე ექსპედიცია კატმანდუში დაბრუნდა, იქიდან კი ჯიპებით ჩრდილოეთით, ჩინეთში გადავიდა და ტიბეტის მხრიდან ევერესტს უზარმაზარი ლაშქრით მიადგა. მთამსვლელთა და რიგით მებარგულთა გარდა იქ ავიდა 120 მოსიმაღლე მებარგული და 50 იაკი, რომლებმაც 5 ტონა ტვირთი აიტანა.

მთამსვლელებმა 5600 მეტრის სიმაღლეზე საბაზო ბანაკი დასცეს, 6200 მეტრს ზემოთ ტვირთის ატანა კი მებარგულებმა იუარეს. არადა, იქ 2,5 ტონა ბარგი იყო დაგროვილი, რაც მთამსვლელთა სათრევი გახდა.

მთამსვლელებმა კედელზე პირველი 250 მეტრიც მალე დაამუშავეს და უფრო ზემოთაც წარმატებით მიიწევენ...

ახლა, რაკი დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ესოდენ მნიშვნელოვანი ასვლა ხდება, უპრიანი იქნება ევერესტზე ამავალი მარშრუტების გახსენებაც.

აქედან პირველი იყო ინგლისელებისა, რომლებიც 1924 წელს ჩრდილოეთიდან ლამის ავიდნენ მწვერვალზე. 1953 წელს ინგლისელები მაინც პირველნი აღმოჩნდნენ, რომლებმაც ეს მწვერვალი დალაშქრეს (სამხრეთიდან). მერე იყო ჩინელთა 1960 წლის ასვლა ჩრდილოეთის გზით, რომელიც თითქმის ინგლისელების მიერ 1924 წლის გაკვალულ მარშრუტს დაემთხვა. ამას მოჰყვა დასავლეთის ქედიდან ჩრდილო-დასავლეთის კედლით ასვლა 1963 წელს. 1975 წელს ინგლისელებმა კიდევ ახალი მარშრუტი გაკვალეს, ამჯერად სამხრეთ-დასავლეთ კედელზეც; მერე იყო იუგოსლავიელთა სამხრეთ-დასავლეთის ქედით პირველასვლა 1979 წელს. ერთი წლის მერე იაპონელებმა ჩრდილოეთიდან სრულიად ახალი გზა გაიარეს. იმავე წელს მოხდა სამხრეთიდან პოლონელთა ლაშქრობა პირველამსვლელთა მარშრუტის სიახლოვეს, რომლის ვარიანტიც 1984 წელს იქვე თავადვე გაიარეს. მანამდე, 1982 წელს კი საბჭოთა ალპინისტებმა სამხრეთ-დასავლეთ კედელი დაძლიეს.

და აი, რუსები ახლა კიდევ ერთი გზის გაკვალვას ცდილობენ ევერესტში, ამჯერად ჩრდილოეთის კედლის ცენტრში.

ავთანდილ ჭყვიშელი

2004 NBA Playoffs

REUTERS-ის არქივიდან

„ჰიუსტონ როკეტსი“ ახლა კობი ბრაიანტმა ააოხრა

შაკის წაქცევა შოკი არაა

19 აპრილი

აღმოსავლეთი

სან ანტონიო 2:0 მემფისი

სან ანტონიო 87:70 მემფისი

სან ანტონიო: პარკერი (27), თუქოლლუ (4), ბოუენი (6), დანკანი (23 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ნესტეროვიჩი (4); ჰორი (14 ქულა, 10 მოხსნა), ჯინობილი (5), ვილისი (2), ჰარტი (2), ბრაუნი, როუზი, ვორდი

მემფისი: უილიამსი (4), მილერი (9), პოუზი (10), გასოლი (20 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი (4); ველსი (13), სვიფტი (6), ბეტიე (4), უოტსონი, აუთლოო, ჰემფრი

რობერტ ჰორი ცოტას აგდებს და ზუსტად საჭირო დროს — ბოლო წამებზე. მისგან მკვლელი ბურთი და მეტოქისთვის წაგლეჯილი გამარჯვება არაერთი გვახსოვს. მაგრამ ამ ჯერზე „სან ანტონიოს“ სათადარიგო ფორვარდმა ბოლო წამებს აღარ დაუცადა. ჩემპიონი „სფურზი“ იოლად ამარცხებდა პლეი ოფის დებიუტანტ „მემფისს“, ერთი ხანობა 22 ქულითაც ლიდერობდა, მაგრამ „დათვები“ ორგანიზებულ კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ და მესამე მეოთხედში ერთ ქულამდე შეამცირეს სხვაობა. სწორედ ამ დროს გაისროლა ჰორიმ ორი სამქულიანი ბომბი და „დათვებს“ თავიანთი ადგილი მიუჩინა.

არადა, ვინც ჰორის არ იცნობს, ეს კაცი ბალასტად მიაჩნდათ. ის მთელი რეგულარული სეზონი ლამის ტყუილად იჯდა ჩემპიონი გუნდის სკამზე და აპრილის თამაშებში მხოლოდ ორი სამქულიანი თუ შეაწია თავისიანებს. ამიტომაც იფიქრა ხალხმა, ეს კაცი სუპერვარსკვლავი არასდროს ყოფილა, მაგრამ ჯიბეში ხუთი ჩემპიონობა აქვს (ორი „ჰიუსტონში“ 1994-95 წლებში და სამ „ლეიკერსში“ 2000-02 წლებში) და მობეზრდა თამაშიო.

„არა, არ მობეზრებია — ამბობს ჰორის თანაგუნდელი ტიმ დანკანი — პლეი ოფს სულ სხვა ხიბლი აქვს. ეს თამაშები ყველაზე დაკმაყოფილებულ ვეტერანსაც აანთებს და საბრძოლოდ განაწყობს. ჰორის ჯერ კიდევ უნდა თამაში.“

ლეიკერსი 2:0 ჰიუსტონი

ლეიკერსი 98:84 ჰიუსტონი

ლეიკერსი: პეიტონი (6), ბრაიანტი (36), ფოქსი, მელოუნი (17), ონილი (7); ფიშერი (11), რაში (10), მედვედენკო (6), უოლტონი (3), კუკი (2), ჯორჯი, რასელი

ჰიუსტონი: ფრენსისი (18 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა), მობლი (9), ჯ. ჯეკსონი (19), კატო (2), მინგი (21); ტეილორი (8), ვეზერსპუნი (4), პადჯეტი (3), მ. ჯეკსონი, ვაილქსი, ნახბარი

„შაკილს რაიმე უნდა მოვუხერხოთ“ — თქვა „ჰიუსტონის“ მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ და წოწოლა იაო მინგს „ლეიკერსის“ ვეება ცენტრის შაკილ ონილის წინააღმდეგ თამაშში მეტი აგრესიისკენ მოუწოდა, სხვებს კი დაცვისას ონილის გარშემო რკალის შევიწროება დაავალა.

ჰიუსტონელებმა გეგმა გადაჭარბებით შასრულეს, მინგმა შეტევაში ბევრი იბორგა და თავიდანვე აჭკიდა დაუგეგმავი პერსონალურები შაკს. შედეგად ლეიკერსელი დევი პრაქტიკულად ამოვარდა თამაშის რიტმიდან და საპლეიოფო პირადი ანტირეკორდიც დაამყარა — შეხვედრა სულ რაღაც შვიდი ქულით დასრულა, მაგრამ „ჰიუსტონს“ ამანაც ვერ უშველა. ძირითადი ამოცანის შესრულების მიუხედავად „რაკეტებმა“ მეორე შეხვედრა კიდევ უფრო უმედოდ წააგეს, ვიდრე პირველი.

ტეხასელებს ახლა კობი ბრაიანტი გაუხდათ თავში საცემი და ვერც ბეხრეკ კარლ მელოუნს შეუშალეს ხელი. ბრაიანტმა თავისი 36 ქულიდან 17 მესამე მეოთხედში ჩააგდო და ამ 12-წუთეულის 30:18 მოგებით სტუმრებს თამაშის მოგების შანსი თეორიულამდე შეუმცირა.

ჰიუსტონელთათვის თავისთავად ნაკლები ნუგეშია მინგის 21 ქულა და მეორე ლიდერ სტივ ფრენსისის პირველი პირადი და მეოთხე საკლუბო სამმაგი დუბლი პლეი ოფში. ფუჭია ყოველგვარი სამმაგი დუბლები და 40-ქულიანი მატჩები, თუკი გუნდმა წააგო და პლეი ოფიდან გავარდა.

სერიაში 0:2 ჩამორჩენილ „ჰიუსტონს“ ახლა ორი შინაური თამაშის იმედი აქვს.

კოტე ყორშია

ვარსკვლავები ვერის ბაღში

29 მაისს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გაიმართება „საქართველოს ვარსკვლავთა მატჩი“, რომელიც შედგება შემდეგი შეჯიბრებებისგან:

— კონკურსი სამძულიანების სროლაში
— კონკურსი ჩატენვებში
— მინი-ტურნირი „ძალი, ვაჟი, ვეტერანი“
— „ვარსკვლავთა მატჩი“

მოთამაშეები და მწვრთნელები შეირჩევიან გულშემატკივართა გამოკითხვით, რომელსაც ჩაატარებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორი გამოცემები — „სარბიელი“, „ოლიმპი“ და „მთავარი გაზეთი სპორტი“.

პრეტენდენტი მოთამაშეები დასახელებულია სამ ამპლუაში

უკანა ხაზი

ირაკლი ხოშტარია (დინამო)
კოტე ტულუში (დინამო)
არჩილ ჟღენტი (დინამო)
რამაზ გოგობერიშვილი (დინამო)
გიორგი გამყრელიძე (დინამო)
ირაკლი ბერიშვილი (ბასკო)
დავით ბერიშვილი (ბასკო)
ბუბა ბერიშვილი (ბასკო)
გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)
შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი)
დავით თორთლაძე (თსუ)
ირაკლი საყვარელიძე (თსუ)
ირაკლი მაისურაძე (თსუ)
მამუკა აბრამიძე (თსუ)
ზაზა გაბისონია (რუსთავი)
დავით არწივიძე (რუსთავი)
გოჩა წოწელია (მაკაბი)
ირაკლი სორდია (სსუ)

ფორვარდები

ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)
ვახტანგ მინაშვილი (დინამო)
ლაშა ლოსაბერიძე (დინამო)
ირაკლი კეიდია (დინამო)
ლაშა კეშელავა (ბასკო)
ნიკა ჩხატარაშვილი (ბასკო)
ჟოლიეტ ტუჯანი (ბასკო)
გიორგი მარკოიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ლუკა შანიძე (სტუ-ჯეოსელი)
ამროსი ორმოცაძე (თსუ)
გიგი ნაცვლიშვილი (თსუ)
ლევან ტყეშელაშვილი (რუსთავი)
მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი)
ვასილ ოთიურიძე (მაკაბი)
ვლადიმერ სუხიშვილი (მაკაბი)

ცენტრები

დავით მუშკუდიანი (დინამო)
ივანე აბულაძე (დინამო)
ვალერი კილაძე (დინამო)
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)
დავით იმნაძე (ბასკო)
პლასიდე როდუმტა (ბასკო)
ირაკლი ჯაფარიძე (სტუ-ჯეოსელი)
არმენ ოგასენიანი (სტუ-ჯეოსელი)
გულივერ ახალკაცი (სტუ-ჯეოსელი)
კახა შენგელია (თსუ)
დავით ერქვანია (სსუ)
ვიქტორ კოლუაშვილი (ქუთაისი)

მწვრთნელები

ნუგზარ კანდელაკი (ბასკო)
დრაჟენ ბრაიკოვიჩი (დინამო)
ნუგზარ ჭეიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ოთარ ხმელიძე (რუსთავი)
ზაურ დოლაბერიძე (ქუთაისი)
მამუკა ტურაშვილი (თსუ)
ჯამლეტ ხუხაშვილი (მაკაბი)
ვაჟა კვარაცხელია (სსუ)
ვაჟა მხეიძე (მაკაბი)
ზურაბ ტომარაძე (დინამო)
დავით უსტიაშვილი (დინამო)
გია ჯავახიშვილი (თსუ)
ვალერი ალთაბაევი (სსუ)
დავით რიბაშვილი (ბასკო)
ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ-ჯეოსელი)
ბადრი კიკვიძე (რუსთავი)
შოთა ჯავახიშვილი (ქუთაისი)

ანკეტა

უკანახაზელი _____
ფორვარდი _____
ცენტრი _____
მწვრთნელი _____

შეავსეთ ანკეტა თქვენს მიერ არჩეული კალათბურთელებით (თითო ამპლუაში თითო მოთამაშე) და მწვრთნელით და მიიტანეთ ან ფოსტით გააგზავნეთ შემდეგ მისამართზე: ალ. ყაზბეგის 42, II ჯორჯუსი, IV სართული, „სარბიელი“

ყველაზე მეტი ხმის მიმღები 12-12 კალათბურთელი ორ გუნდში შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: პირველ გუნდში ითამაშებენ ჩემპიონატში I, IV, V, VIII ადგილებზე გასული კლუბების კალათბურთელები, მეორეში II, III, VI, VII ადგილზე გასულთა მოთამაშეები.

გუნდებს უხელმძღვანელებს ყველაზე მეტი ხმის მიმღები ოთხი მწვრთნელი.

გამოკითხვა შეწყდება 20 მაისს



არტესტი და მუშა?!

ერთვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ თავისი პირველი ლაურეატი გამოაცხადა — სეზონის საუკეთესო დამცველად ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად დასახელდა „ინდიანა პეისერზის“ 201-სანტიმეტრიანი ფორვარდი რონ არტესტი. 121 ამერიკელი და კანადელი საკალათბურთო ჟურნალისტიდან არტესტს 80-მა მისცა პირველი ხმა, სულ კი მან შესაძლო 605 ქულიდან 476 მიიღო.

26 პირველი ხმით და 325 ქულით გამოკითვაში მეორე იყო ამ ტიტულის ბოლო ორ სეზონში მომპოვებელი დეტროიტელი მუშაკაცი ბენ ვოლესი. მესამე კი 90 ქულით დაფარებების პორტლენდელი ოსტატი თეო რეთლიფი გახლდათ.

არტესტს მართლაც ზღაპრული სეზონი ჰქონდა. მისი სათამაშო აგრესია წლეულს გაიფურჩქნა. ინდიანელმა სეზონი დაამთავრა მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 18,3 ქულით, 5,3 მოხსნით, 3,7 პასით და 2,0 ჩაჭქრით (მესამე შედეგი ლიგაში). არტესტმა განსაკუთრებული ნიჭი გამოამჟღავნა 200-205-სანტიმეტრიანი ბიჭების (მსროლელი ან ფრთა) პერსონალურ მეურვეობაში და ჯერმენ ონილთან ერთად საკმაოდ საშუალო შემადგენლობის „ინდიანა პეისერზი“ მძლავრ გუნდად აქცია.

მშვოთვარე და ხშირად თავხედი არტესტი დაცვაში საიმედო თამაშითაც ცნობილა და ხშირი დისკვალიფიკაციებითაც. ამ სეზონში იგი ლიგამ ხუთი თამაშის გამოტოვებით დასაჯა უწესო ქცევისთვის. ის ახლაც დისკვალიფიცირებულია და პლეი ოფში „ბოსტონთან“ სესიაში მეორე თამაშს გამოტოვებს, რადგან პირველ თამაშში თანაგუნდელი ჯერმენ ონილის მეტოქესთან წაკინკლავებისას თავი ვერ შეიკავა, სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა და მოედანზე შევარდა.

ყველა სეზონის საუკეთესო მცველი

1982-83 სიდნი მონკრიფი (მილუოკი)
1983-84 სიდნი მონკრიფი (მილუოკი)
1984-85 მარკ იტონი (იუტა)
1985-86 ელვინ რობერტსონი (სან ანტონიო)
1986-87 მაიკლ კუპერი (ლეიკერსი)
1987-88 მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო)
1988-89 მარკ იტონი (იუტა)
1989-90 დენის როდმანი (დეტროიტი)
1990-91 დენის როდმანი (დეტროიტი)
1991-92 დევიდ რობინსონი (სან ანტონიო)
1992-93 ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1993-94 ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი)
1994-95 დიკემბე მუტომბო (დენვერი)
1995-96 გერი პეიტონი (სიეტლი)
1996-97 დიკემბე მუტომბო (ატლანტა)
1997-98 დიკემბე მუტომბო (ატლანტა)
1998-89 ალონზო მურნინგი (მაიამი)
1999-00 ალონზო მურნინგი (მაიამი)
2000-01 დიკემბე მუტომბო (ფილადელფია)
2001-02 ბენ ვოლესი (დეტროიტი)
2002-03 ბენ ვოლესი (დეტროიტი)
2003-04 რონ არტესტი (ინდიანა)

სათავადოს დავლათი დააკლდა
გაჭყეპილ კორიას კენჭები


გილერმო კორია

მასტერსის სერია
მონტე-კარლო. თიხნარი
საპრიზო 2 425 500 ევრო

პირველი წრე

გილერმო კორია (3, არგენტინა) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:0, 6:1; **რაინერ შუტლერი** (4, გერმანია) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 7:6 (7:3), 6:3; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — ვინს სპედია (აშშ) 6:7 (5:7), 6:4, 7:6 (7:5); **აგუსტინ კალიერი** (არგენტინა) — სხენგ შალკენი (11, ჰოლანდია) 6:1, 6:3; **ტაილორ დენტი** (აშშ) — ირჟი ნოვაკი (12, ჩეხეთი) 6:4, 7:5; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 6:4, 6:3; **ნიკოლა დევილდე** (საფრანგეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 4:6, 6:2, 6:2

წლეულს სათავადოში ჩასვლა ერთბაშად იუარეს ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმა, შებერებულმა ფაკირმა ანდრე აგასიმ და მისმა კანონიერმა მემკვიდრე ენდი როდიკმა. ვაგლახად შეთხელებულ დასს ყოჩად ტურნირის ორგზის ჩემპიონი და ტიტულდამცველი ხუან კარლოს ფერერო დაურჩა, ვინაც — ეგებ არ დაგვიწყებიათ — წინა კვირის ვალენსიურ ნახევარფინალში ტურნირის მომავალ ჩემპიონ ფერნანდო ვერდასკოსთან წაავგო.

დავლათიან მეჩოგნეთა სიმცირის პირობებში ადგილობრივ მილეთს იმედი ჰქონდა, ეშხიან ბურთაობას სახელიანი ოსტატების, გორან ივანიშევიჩისა და გუსტავო კუერტენის შესრულებით მაინც იხილავდა. მაგრამ ვერც იქაურ ქომაგს მიერთვა და ვერც ჩვენ, ტელევიზორთან აქეთ ჩამყუდროვებულებს. კუერტენს მეოთხე ნომრად განთესილმა რაინერ შუტლერმა აჯობა, ივანიშევიჩი კი სულ მთლად უსახელო ნიკოლა დევილდემ აოტა.

ტურნირის 1999 და 2001 წლების ჩემპიონმა ბრაზილიელმა მართლაც ვერაფერი გააწყო შარშანდელი სეზონის ერთ ყველაზე „განვითარებულ“, ხოლო მიმდინარე წლის ერთ ყველაზე ჩაფლავებულ მეჩოგნესთან. შუტლერი წლეულს ძალზედ უბადრუკად ჩოგნაობს და ამ სამთვენახევრის განმავლობაში ოდენ ორი გამარჯვება დაიგროვა. თუმცა კუერტენის მოსადრეკად მისი ამჟამინდელი ფინაჩი ფორმაც საკმარისი გამოდგა.

რაც შეეხება ივანიშევიჩს, ის წლეულს ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ, ვინ იცის, მერამდენედ ლამობს დიდ კორტზე ღირსეულად დაბრუნებას, მაგრამ აგერ უკვე მეექვსე ტურნირზე გამოდის და ორ მოგებაზე მეტი ჯერ ვერაფერი გაუხერხებია. უიმბლდონის ოდინდელმა ჩემპიონმა ახლა სულ მთლად უცნობ ფრანგ კვალიფიკანტ დევილდესთან ჩაიფლავა.

სხვაფრივ — გამოცდილი ტომას ენკვისტის განადგურებას 48 წუთი მოანდომა ტურნირზე მესამე ნომრად განთესილმა გილერმო კორიამ. გეხსომებათ, მას ჩოგანი მაიამობის ფინალში ენდი როდიკთან შეწყვეტილი მატჩის შემდეგ აღარ გაექნია. იმ შეხვედრაში კორია თითქოს წელმა შეაწუხა, მაგრამ მერე ექიმებმა დაუდგინეს, რომ ყველაფერი თურმე თირკმელებში დაგროვილი კენჭების ბრალი ყოფილა და მკვირცხლი გაუჩოც ეს რამდენიმე კვირა რაგინდარა სითხით გაჭყეპილა. ამას უშველია და ის ახლა ისეთ ჩასპანდ და ბზრიალა ფორმაშია, რომ — მტრისას და ავისას!

თავისი მოაწოდე-მიეძალე ყაიდის ჩოგნაობა კი ნელ საფარს ძლივს მოარგო დახვეწილმა ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა. ვინს სპედიასთან სამსეტიანი და ორტაიბრეიკიანი ბულრაობაც სწორედ ამის გამო გადახდა.

ეგ იყო და ეგ.

ლევან ძელაურაძე

პირველი ხმა შენია
ჯეიმსი ტოლებში აღზევდა



რა თქმა უნდა, ლებრონ ჯეიმსი და არა კარმელო ენტონი. ჯერ სარეკლამო ბაზარზე აშენებულმა და მერე ნაღდ საქმეში თავგამოჩენილმა 19 წლის ვუნდერბიჭუნამ გამოკითხვაში ოდნავ აჯობა ოდნავ უფროს კარმელოს და თავისი პირველი ნაღდი ჯილდო შემოდო თაროზე. „კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერმა და იმედმა რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში საშუალოდ 20,9 ქულა, 5,5 მოხსნა და 5,9 მოხსნა დააგროვა. „დენვერის“ ამყვავებელი კარმელო ენტონის მონაგარი კი 21,0 ქულა, 6,1 მოხსნა და 2,8 პასი გამოვიდა, თანაც კარმელომ თავისი გუნდი გაიყვანა პლეი ოფში, მაგრამ ჯილდო მაინც ლებრონს დარჩა. ჯეიმსმა 78 პირველი ხმა მიიღო, ენტონიმ — 40. სხვა ახალბედებს — არც გვიკვირს და — პირველი ხმა სრულებით არ მიუღიათ.

პლეი ოფი. პირველი წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალგარელმა ჯერომ იგინლამ ორი შაიბა გაუტანა „ვანკუვერის“ მეკარე ალექსანდრ ოლდს
REUTERS

კალგარიც აალდა

— 19 აპრილი —

აღმოსავლეთი

ბოსტონი 3:4 მონრეალი

ბოსტონი 0:2 მონრეალი
0:0 0:0 0:2
0:1 ზედნიკი (51), 0:2 ზედნიკი (60)

ალექსეი კოვალიოვმა ვალი „მონრეალსა“ და მის ქომაგებს სამმაგად გადაუხადა. ხომ გახსოვთ, მეოთხე მატჩში რუსის შეცდომის შემდეგ „ბოსტონმა“ ოვერტაიმში რომ იმარჯვა და სერიაში 3:1 დაწინაურდა. ჰოდა, ლანძღეს და ლანძღეს კოვალიოვი, აქილიკეს ჟურნალისტებმა, ყველა ძველი „ცოდვა“ შეახსენეს, ალექსეიმ კი ეს აინუნშიაც არ ჩააგდო და ავისმთქმელთ მარჯვე თამაშით გასცა პასუხი. და აი, ანტიგმირიდან უმალ კერპად იქცა. წინა ორ მატჩშიც ლომის წილი დაიდო გუნდის წარმატებაში, სამშაბათს კი საბოლოოდ დაასამარა „ბოსტონი“.

მეშვიდე თამაში წმინდა საპლეიოფო გამოდგა. ორივე გუნდი ფხიზლობდა, შესაბამისად, რეალური მომენტებიც ეპიზოდურად იქმნებოდა და 51-ე წუთამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო გოლის გატანა. მერე იყო კოვალიოვის ჩინებული გარღვევა და შაიბა რიხარდ ზედნიკს მიუვიდა. სლოვაკმა ახლო მანძილიდან დალაშქრა ენდრიუ რეიკროფტის კარი. ამ გოლმა დააბნია მასპინძლები და სტუმრებმა აღარც მოუშვეს ლაგამი. როცა „ბოსტონმა“ მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა, კოვალიოვმა ზედნიკს მეორედ გაატანინა.

„მონრეალი“ ამ მოგებით მე-20 გუნდი შეიქნა, რომელმაც სერიის მოგება მეტოქის 3:1 დაწინაურების შემდეგ შეძლო. გამარჯვებულთა პირველმა სამეულმა ამ სერიაში 9 გოლი და 12 პასი მიითვალა, „ბოსტონის“ ლიდერი ჯო ტორნტონი კი მთლად უქულოდ დარჩა. უნდა აღინიშნოს „მონრეალის“ კაპიტან საკუ კოივუს გამორჩეული გარჯაც. როგორც ბოსტონური პრესა წერს, კოივუმ თავისი მაღალი თანამდებობა ჟურნალისტებს მხოლოდ ერთხელ აგრძნობინა, როცა ვარჯიშის დროს მათ კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

დასავლეთი

ვანკუვერი 3:4 კალგარი

ვანკუვერი 2:3 კალგარი
0:0 0:1 2:1 0:1
0:1 იგინლა (33), 1:1 კუკი (48), 1:2 იგინლა (51), 2:2 კუკი (60), 2:3 ჟელინა (62)

„კალგარის“ 15 წლის ლოდინი დაუფასდა, როგორც იქნა, მეორე რაუნდში გავიდა. სერიის წინა მატჩში „ალებმა“ 0:4-ის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ოვერტაიმში მაინც დამარცხდნენ და გალმა გასვლა კიდევ ორი დღით გადაედოთ.

თუმცა კამაც-კამაც საქმე არც გადამწყვეტ მატჩში წაუვიდათ. ჯერომ იგინლას ორი გოლის წყალობით „კალგარი“ 2:1 იგებდა, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე 6 (!) წამით ადრე მეტ კუკმა ანგარიში გაათანაბრა და სტუმრებსაც ყველაფერი თავიდან დასაწყები გაუხდათ. ოღონდ ამჯერად „ალთა“ ნერვიულობამ მხოლოდ 85 წამს გასტანა. მასპინძელთა კარზე გადამწყვეტი საოვერტაიმო იერიში იმავ იგინლამ მიიტანა, გოლი კი ჟელინამ შეაგდო, ვინაც ყვანჯი სწორედ მისი დარტყმის შედეგად მოგერიებულ შაიბას უმარჯვა.

„ქალაქი ძალიან დიდ ხანს ელოდა ამ წარმატებას. თაობები შეიცვალა, ახალმა მოთამაშეებმა ბევრი რამ ისწავლეს და ოცნებაც რეალობად იქცა“ — თქვა მატჩის შემდეგ გადამწყვეტი გოლის ავტორმა.

სამველ ლარიბიანი



ლიგა მოხუცებს კარგავს
იგორ ლარიონოვიც წავიდა

ეს უკვე რეალობაა, ნჰლ-ში 43 წლის „ბიძა“ აღარ დარჩა. „რეინჯერსის“ სახელოვანმა კაპიტანმა მარკ მესიემ უკვე დაასრულა კარიერა, ორშაბათს კი მას ნიუჯერსელმა იგორ ლარიონოვმაც მიჰბაძა. 1960 წლის 1 დეკემბერს დაბადებული რუსი ლიგის უხუცესი მოთამაშე გახლდათ (ის მესიეზე თვენახევრით უფროსია).

„როცა თამაშს თავს ანებებ, სევდა გიპყრობს, მაგრამ... უკვე წასვლის დრო იყო. ახლა უამრავი იდეა მაქვს, თუმც, როგორც ყოველთვის, არც ახლა ავჩქარდები, ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი და მერე გადავწყვეტ, მომავალში რა ვაკეთო“ — თქვა ლარიონოვმა პრესკონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირის ლეგენდარული ნაკრების პირველი ხუთეულის ცენტრფორვარდის კარიერა ნჰლ-ში 1989 წელს დაიწყო, როცა იგი 28 წლის სახელოვანი და ტიტულიანი მოთამაშე იყო, ორი ოლიმპიური და 4 მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მფლობელი. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჰოკეის სტანდარტებით ამ თითქოს სუსტი აღნაგობის მეყვანჯის ოკეანისგაღმა კარიერა ესოდენ ხანგრძლივი და იღბლიანი გამოდგებოდა.

ლარიონოვმა 15(!) სეზონი ჩაატარა ლიგაში და 921 მატჩში 644 ქულა დააგროვა. მან რამდენიმე კლუბი გამოიცვალა, მაგრამ ყველაზე შედეგიანი და დასამახსოვრებელი, ცხადია, მისი დეტროიტული პერიოდი იყო. „წითელფრთიანთა“ რიგში ის სტენლის თასს სამჯერ დაეუფლა და ჰოკეიში მოსაგები აღარაფერი დარჩა.

ისე, „ნიუ ჯერსიში“ გადასვლისას ალბათ მეორე ტრიუმფზეც ფიქრობდა, მაგრამ... დიდად არც თვითონაც გამოუჩენია თავი და მისი კლუბიც ხომ თასის პირველივე რაუნდიდან გავარდა.

ვუდსის გაკვეთილები

ჩრდილო კაროლინაში საქველმოქმედო ღონისძიებები ჩატარდა. ტაიგერ ვუდსმა და მისმა საქველმოქმედო ფონდმა ბოლო ომებში დაშავებულ ჯარისკაცებს და მათ შვილებს მცირე გართობა მოუწყვეს. ტაიგერს რა შეუძლია და გოლფის გაკვეთილების ჩატარება. ბავშვებიც სწავლობენ.

REUTERS

REUTERS

როქსი პრო

ფიჯის ტავარუას კუნძულის ნაპირად როქსი პროს სერფინგი გახურებულა. როქსი პრო ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის რვა დიდი შეჯიბრიდან ერთ-ერთია. ეს ტალღაზე აბრეცილი ქალი კი ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრალიელი ლეინ ბიჩლი გახლავთ. როქსი პროში, ტრადიციულად 17 საუკეთესო მოსერფე ქალი მონაწილეობს.

REUTERS

გუნდშია

ტრეისი მორისი 36 წლისაა, ამ კვირის ლონდონის მარათონში კი მეათე ადგილზე გავიდა. სწორედ გუშინ გამოცხადდა, რომ ტრეისი ოლიმპიური გუნდის წევრი გახდა. ჰოდა, ქმარს, პოლს ამიტომ ჩაჰკონებია.

ბუში და ერაყის სპორტი

ჯორჯ ბუშს ოვალურ კაბინეტში მიუღია ერაყის სპორტის მოღვაწენი: იქაური ოლიმპიური კომიტეტის ახლადარჩეული პრეზიდენტი აჰმედ ალისამარაი და ამ კომიტეტის წევრი ქალი, დოქტორი იმან საბიჰი. ერაყი მოახლოებულ ათენის ოლიმპიადაში ღირსეულად მონაწილეობას გეგმავს.

REUTERS

REUTERS

მონაზონი რბოლის დროს

ჰოლანდიაში მსოფლიოს თასის ამსტელის ოქროს რბოლა ჩატარდა. 251,1-კილომეტრიანი შეჯიბრი დავიდ რებელინმა მოიგო, ამ მონაზონმა კი რბოლის გამო გადასახვევით წასვლა ამჯობინა, თუმც, აღმართში ველოსიპედის ტარება გაუჭირდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge